

სააქციო საზოგადოება „სმარტ რითეილი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
31 დეკემბერი 2018

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში.....	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2-8

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	9
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	10
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	11
განმარტებითი შენიშვნები.....	10-60

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სს “სმარტ რითეილისა” და მისი შვილობილის შპს „სმარტ ფროდაქშენის“ (შემდგომში „ჯგუფი“) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში ჯგუფის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2019 წლის 28 ოქტომბერს.

ფინანსური დირექტორი

გივი გვეტაძე

მთავარი ბუღალტერი

მარეხი კვებვაძე

სს „სმარტ რითეილი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

წლისთვის

ქართულ ლარში

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „სმარტ რითეილი“ დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „სმარტ რითეილის“ („მშობელი კომპანია“) და მისი შვილობილის („ჯგუფის“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებული მოგება ბარალის და სხვა სრული შემოსავლების, კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკასა და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველის აბზაცში ასახული საკითხის შესაძლო ეფექტისა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

გამომდინარე იქიდან რომ, ჩვენ დავინიშნეთ ჯგუფის აუდიტორებად 2018 წლის 31 დეკემბრის შემდგომ პერიოდში, ვერ შევძელით დავკვირვებოდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციას, ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2018 წლის დასაწყისში და წლის ბოლოს მდგომარეობით არსებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების რაოდენობის სისწორეში, რაც კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო შესაბამისად 5,101,992 და 4,180,129 ლარის ღირებულებით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებთან დაკავშირებით კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აგრეთვე კონსოლიდირებული მოგება-ბარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში. აღნიშნული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება სასაქონლო მატერიალური ფასეულობების 2018 წლის 31 დეკემბრით არსებულ ნაშთებზე და შესაბამის მონაცემებზე მოდიფიცირებულია.

გამომდინარე იქიდან რომ, ჩვენ დავინიშნეთ ჯგუფის აუდიტორებად 2018 წლის 31 დეკემბრის შემდგომ პერიოდში, ვერ შევძელით დავკვირვებოდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს

ჩატარებულ სალაროში არსებულ ფულადი სახსრების ინვენტარიზაციას, რომლის ღირებულებამაც შეადგინა 552,757 და 367,347 ლარი. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სალაროში არსებული ფულად სახსრებთან დაკავშირებით. აღნიშნული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება სალაროში არსებულ ფულად სახსრებთან მიმართებაში 2018 წლის 31 დეკემბრით არსებულ ნაშთებსა და შესაბამის მონაცემებზე მოდიფიცირებულია.

2018 წლის განმავლობაში სს „სმარტ რითეილმა“ დახურა მაღაზიები და გაყიდა გრძელვადიანი აქტივები, თუმცა შეწყვეტილი ოპერაციები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში არ არის გამჟღავნებული შესაბამისად. გამომდინარე იქიდან რომ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფასს“-ების შესაბამისად და მშობელი კომპანია არ არის შესაბამისობაში ფასს 5-ის „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“-ს მოთხოვნებთან, ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებულია აღნიშნული საკითხის გამო.

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობის ვართ ჯგუფში შემავალი კომპანიებისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა,შევასრულეთ ბასს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

მოსაზრების მოდიფიცირების გარეშე გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-2 განმარტებით შენიშვნაზე რომელიც გვიჩვენებს რომ კონსოლიდირებული დაგროვილი ზარალი განგრძობითი ოპერაციებიდან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 48,438,864 ლარს (2017: 45,982,240), აღნიშნული შედეგი ძირითადად გამოწვეულია მშობელი კომპანიის სს „სმარტ რითეილის“ ფინანსური მაჩვენებლებით. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებული მიმდინარე ვალდებულებები აღემატება კონსოლიდირებულ მიმდინარე აქტივებს განგრძობით ოპერაციებზე 24,860,858 (2017: 17,791,825) ლარით, შესაბამისად 4,2-ჯერ (2017: 2,9-ჯერ) რომელიც ძირითადად გამოწვეულია მშობელი კომპანიის ფინანსური მაჩვენებლებით.

აღნიშნული მოვლენები და პირობები მიუთითებს არსებით განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს მშობელი კომპანიის უნართან დაკავშირებით საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რომელსაც მნიშვნელობანი გავლენა ექნება როგორც ცალკეულ კომპანიებზე ასევე ჯგუფზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, „სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიში მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მიხედვით მმართველობით ანგარიშზე.

მენეჯმენტი პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშის მომზადებაზე, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება წარმოდგენილი აუდიტორული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შემდეგ. ზემოთხსენებული კანონის მიხედვით, მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი იქნება შემდეგი ინფორმაცია:

- სუბიექტის განვითარების გეგმები;
- სუბიექტის მიერ წარმოებული კვლევებისა და მათი განვითარების მიმოხილვა;
- სუბიექტის ფილიალების საქმიანობა;
- სუბიექტის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ;
- საკუთარი აქციების შეძენის შესახებ მოკლე ინფორმაცია;
- ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნების და პოლიტიკა;
- საჭიროების შემთხვევაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მყოფი სხვა ინფორმაცია

ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე ტიპის მოსაზრებას მმართველობით ანგარიშთან („სხვა ინფორმაცია“) დაკავშირებით. ჩვენი როგორც აუდიტორების პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რომ:

- გავცნოთ სხვა ინფორმაციას და შევაფასოთ რამდენად არსებითად თანმიმდევრულია სხვა ინფორმაცია 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლით წარმოდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- წარმოდგენილია თუ არა მმართველობით ანგარიშში ყველა ის ინფორმაცია რაც განსაზღვრულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

სხვა გარემოებათა აბზაცი

„ბუღალტური აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის“ შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მენეჯმენტმა მოამზადა და წარმოადგინა მმართველობითი ანგარიში რომლის წაკითხვაც უნდა მოხდეს წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად. ჩვენს მიერ ჩატარებული პროცედურების შედეგად დავრწმუნდით რომ წარმოდგენილ მმართველობით ანგარიში არსებითად თანმიმდევრულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. მენეჯმენტის მიერ მომზადებული მმართველობითი ანგარიში იქნა ჩვენს განხილულ მიერ ამ აუდიტორული დასკვნის მოცემულ „*აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით*“ აბზაცის შესაბამისად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება მშობელი კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ, ჩვენ ვართ

სს “სმარტ რითეილი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

წლისთვის

ქართულ ლარში

პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

28 ოქტომბერი 2019

არესემ საქართველო

მმართველი პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

სს “სმარტ რითეილი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

**კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი	15	36,237,055	36,887,649
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	16	(29,735,849)	(28,529,527)
საერთო მოგება		6,501,206	8,358,122
მარკეტინგული შემოსავალი	19	232,900	1,268,176
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	17	(11,058,852)	(13,651,149)
ცვეთის ხარჯი	7	(1,480,808)	(1,964,731)
სხვა წმინდა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	18	(879,821)	864,144
ფინანსური შემოსავალი/ხარჯი	13,9	(2,987,471)	(1,793,889)
უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან მიღებული წმინდა მოგება/ზარალი	20	234,553	(182,951)
მოგება დაბეგვრამდე		(9,438,293)	(7,102,278)
გადავადებული მოგების			
მოგება/ზარალი განგრძობითი		(9,438,293)	(7,102,278)
მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან	3	501,180	7,287,516
წლის მოგება/ზარალი		(8,937,113)	185,238

ფინანსური დირექტორი გივი გვეტაძე _____

მთავარი ბუღალტერი მარეხი კეზევაძე _____

სს “სმარტ რითეილი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

**კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	2,902,132	5,588,892
არამატერიალური აქტივები	8	84,795	163,698
ინვესტიციები	11	2,000,100	-
გაცემული სესხები	9	3,704,147	3,247,191
სულ გრძელვადიანი აქტივები		8,691,174	8,999,781
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	5	4,180,129	5,101,992
გაცემული ავანსები		911,543	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	2,048,757	3,567,025
ფული და ფულის ექვივალენტები	4	1,087,593	682,750
სულ მოკლევადიანი აქტივები		8,228,022	9,351,767
სულ აქტივები		16,919,196	18,351,548
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
მფლობელთა კაპიტალი	10	13,793,978	13,793,978
გაუნაწილებელი მოგება		(47,931,684)	(38,694,725)
სულ კაპიტალი		(34,137,706)	(24,900,747)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	13	17,968,022	16,108,703
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		17,968,022	16,108,703
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	13	22,635,485	11,240,382
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	10,453,395	15,903,210
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		33,088,880	27,143,592
სულ ვალდებულებები		51,056,902	43,252,295
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		16,919,196	18,351,548

ფინანსური დირექტორი გივი გვეტაძე _____

მთავარი ბუღალტერი მარეხი კეზევაძე _____

სს “სმარტ რითეილი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	მფლობელთა კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2017 წლის 1 იანვრის	10	13,793,978	(38,879,963)	(25,085,985)
წლის მოგება		-	185,238	185,238
2017 წლის 31 დეკემბრის	10	13,793,978	(38,694,725)	(24,900,747)
მდგომარეობით				
ფასს 9-ის გავლენა		-	(299,846)	(299,846)
2018 წლის 1 იანვრის		13,793,978	(38,994,571)	(25,200,593)
მდგომარეობით				
წლის მოგება		-	(8,937,113)	(8,937,113)
2018 წლის 31 დეკემბრის		13,793,978	(47,931,684.00)	(34,137,706)
მდგომარეობით				

ფინანსური დირექტორი

გივი გვეტაძე

მთავარი ბუღალტერი

მარეხი კვზევაძე

სს “სმარტ რითეილი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

წლისთვის

ქართულ ლარში

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება/ზარალი:		(8,937,113)	185,238
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	7,8	1,811,497	1,964,731
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული მოგება/ზარალი	3,7	646,119	-
საეჭვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	6	1,189,426	-
გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი	9	(60,899)	-
უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან მიღებული წმინდა	20	(234,553)	182,951
არამატერიალური აქტივების ჩამოწერა		18,603	-
საპროცენტო ხარჯი	13	3,508,307	2,327,785
საპროცენტო შემოსავალი	9	(520,836)	(533,896)
საოპერაციო შედეგები კაპიტალში ცვლილებამდე			
ცვლილება მარაგებში	5	921,843	4,106,065
ცვლილება გაცემულ ავანსებში		(911,543)	2,844
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	6	(207,794)	(782,432)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	14	(5,079,143)	(19,528,707)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი		(9,148,304)	(12,075,421)
გადახდილი პროცენტი	13	(3,508,307)	(1,908,663)
მიღებული პროცენტი	9	520,836	13,300
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული (საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		(12,135,775)	(13,970,784)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	7	(363,292)	(1,555,189)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	7	1,652,000	481
ინვესტიციები	11	(2,000,100)	-
ცვლილება გასაყიდად ფლობილ აქტივებში		-	7,109,962
არამატერიალური აქტივების შეძენა	8	(896)	(18,603)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმ. ფულადი		(712,288)	5,536,651
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
ცვლილება მიღებულ სესხებში	13	12,927,115	7,824,954
ცვლილება გაცემულ სესხებში	9	(456,956)	-
არაფულადი ცვლილებები		293,970	-
საფ. საქმიანობით გენერირებული წმ. ფულადი სახსრები		12,764,029	7,825,014
ფული და ფულის ექვივალენტები			

სს “სმარტ რითეილი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

1 იანვრის მდგომარეობით	4	682,750	902,098
წმინდა ზრდა წლის განმავლობაში		(84,034)	(609,117)
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის		488,877	389,771
31 დეკემბრის მდგომარეობით	4	1,087,593	682,750

ფინანსური დირექტორი გივი გვეტაძე _____

მთავარი ბუღალტერი მარეხი კეზევაძე _____

1 ზოგადი ინფორმაცია

სს „სმარტ რიტეილი“ (შემდგომში „ჯგუფი“) რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობით 2006 წლის 2 თებერვალს (ს/კ.205124346), სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში. ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სმარტის ბრენდის ქვეშ არსებულ საცალო მაღაზიების მართვა.

მშობელი კომპანია საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მასშტაბით, კომპანია ფლობს მაღაზიებს თბილისში, გორში, ახალციხეში, ბათუმში, გუდაურში, ზუგდიდსა, და ყვარელში.

მშობელი კომპანიის იურიდიული მისამართია ჭავჭავაძის გამზირი N74ბ, თბილისი, საქართველო

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ორგანიზაციაში დასაქმებულთა რიცხვი შეადგენდა 543 (2016: 622).

მშობელი კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია კომპანია „გლობალ ინვესტორს ლიმიტედ (მალტა) " რომელსაც აკონტროლებს თანაბარი წილების მფლობელი სამსონ და ლევან ფხაკაძეები (50%-50%).

2016 წლის ნოემბერში მშობელმა კომპანიამ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაარეგისტრირა შვილობილი - შპს „სმარტ ფროდაქშენი“ (ს/კ. 405175929). კომპანიის იურიდიული მისამართია ჭავჭავაძის გამზ. 74ბ, თბილისი, საქართველო.

შვილობილი კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკონდიტრო და სხვა სახის პროდუქციის წარმოება და რეალიზება.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შვილობილ ორგანიზაციაში დასაქმებულთა რიცხვი შეადგენდა 50 (2017: 72).

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სს „სმარტ რიტეილისა“ და შპს „სმარტ ფროდაქშენის“ („ჯგუფი“) საქმიანობებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის, კონსოლიდირებულ კაპიტალში ცვლილებების, კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების

გამოკლებით, აღიარებულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ პუნქტებს (რეკლასიფიცირების კორექტირებების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია ფასს-ის თანახმად. რეკლასიფიცირების კორექტირება არის რაოდენობა, რომელიც მიმდინარე პერიოდში რეკლასიფიცირებულია მოგების ან ზარალის სახით და რომელიც მიმდინარე ან წინა პერიოდებში აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავლებში. ორგანიზაციის მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კონსოლიდირებულ კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

ორგანიზაცია კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. მენეჯმენტის რწმენით, ეს მეთოდი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ინფორმაციის კლასიფიცირება ხდება მიმდინარე და გრძელვადიანობის საფუძველზე.

კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ჯგუფი წარადგენს წმინდა ღირებულებით, ჯგუფი ახორციელებს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლას მაშინ როდესაც გააჩნია იურიდიული საფუძველი.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მოცემული ცხრილი ასახავს სს „სმარტ რითეილ“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	2,514,644	5,087,998
არამატერიალური აქტივები	84,795	163,698
ინვესტიციები	2,626,821	626,721
გაცემული სესხები	3,704,147	3,247,191
სულ გრძელვადიანი აქტივები	8,930,407	9,125,608
მოკლევადიანი აქტივები		
მარაგები	4,039,279	4,893,826
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,713,246	2,914,528
გაცემული ავანსები	903,016	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,049,500	673,305
სულ მოკლევადიანი აქტივები	9,705,041	8,481,659
	-	-
სულ აქტივები	18,635,448	17,607,267

კაპიტალი და ვალდებულებები

კაპიტალი

მფლობელთა კაპიტალი	13,793,978	13,793,978
გაუნაწილებელი მოგება	(46,223,361)	(38,027,464)
სულ კაპიტალი	(32,429,383)	(24,233,486)
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	17,968,022	16,108,703
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	17,968,022	16,108,703
მოკლევადიანი ვალდებულებები		
მოკლევადიანი სესხები	22,635,485	11,240,382
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10,461,324	14,491,668
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	33,096,809	25,732,050
სულ ვალდებულებები	51,064,831	41,840,753
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	18,635,448	17,607,267

შვილობილ კომპანიაში, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დასაქმებული იყო 50 თანამშრომელი (2017: 72).

კომპანიამ 2018 წელს შეისყიდა შპს სმარტ რუსთაველის 27,71% წილი.

(ბ) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, კომპანია დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც ხასიათდება განვითარებადი ბაზრის მახასიათებლებით. იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, მაგრამ ექვემდებარებიან სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რომლებიც, სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, დამატებით გამოწვევებს უქმნიან საქართველოში მოქმედ იურიდიულ პირებს. წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის შეფასებას, საქართველოს ბიზნეს გარემოს ზეგავლენის შესახებ, კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი ორგანიზაციის პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს”) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის, კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილების, კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ პუნქტებს (რეკლასიფიცირების კორექტირებების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია ფასს-ის თანახმად. რეკლასიფიცირების კორექტირება არის რაოდენობა, რომელიც მიმდინარე პერიოდში რეკლასიფიცირებულია მოგების ან ზარალის სახით და რომელიც მიმდინარე ან წინა პერიოდებში აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავლებში. კომპანიის მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კონსოლიდირებულ კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

კომპანია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ფუნქციის მიხედვით. კომპანია მიიჩნევს, რომ ეს მეთოდი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანია დგას გარკვეული ფინანსური და საოპერაციო სირთულეების წინაშე, რაც ქვემოთ არის აღწერილი.

ჯგუფის დაგროვილი ზარალი განგრძობითი ოპერაციებიდან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 48,438,864 ლარს (2017: 45,982,240), აღნიშნული შედეგი ძირითადად გამოწვეულია მშობელი კომპანიის სს „სმარტ რითეილის“ ფინანსური მაჩვენებლებით. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებული მიმდინარე ვალდებულებები აღემატება კონსოლიდირებულ მიმდინარე აქტივებს განგრძობით ოპერაციებზე 24,860,858 (2017: 17,791,825) ლარით, შესაბამისად 4,2-ჯერ (2017: 2,9-ჯერ) რომელიც ძირითადად გამოწვეულია მშობელი კომპანიის ფინანსური მაჩვენებლებით.

ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

შემასუსტებული ფაქტორები:

მენეჯმენტმა შეიმუშავა მრავალმხრივი გეგმა აღნიშნული სირთულეებისა და გამოწვევების დასაძლევად, რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

1 - კომპანიის დამფუძნებელი გამოთქვამს მზადყოფნას კაპიტალში დამატებითი ფულადი შენატანების განხორციელებაზე.

2 - საჭიროების შემთხვევაში დამფუძნებლებისა და სხვა დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სასესხო ვალდებულებების პირობები გადაიხედება, რაც ხელს შეუწყობს საპროცენტო ხარჯის შემცირებასა და სასესხო ვალდებულების ვადის გახანგრძლივებას. აღნიშნულის პრაქტიკა კომპანიას უკვე გააჩნია.

ზემოთ აღნიშნული სამოქმედო გეგმა ხელს შეუწყობს კომპანიას ფინანსური და საოპერაციო მდგომარეობის გაუმჯობესებაში. ამ შემასუსტებული ფაქტორების გათვალისწინებით მენეჯმენტი დარწმუნებულია, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმო.

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

2.1 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

კომპანიის მიერ დანერგილ იქნა ფასს 9 რომელიც გამოიცა 2014 წლის ივლისში ბასსს-ის მიერ. სტანდარტის ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2018 წლის 1 იანვარი, რომელმაც გამოიწვია კომპანიის პოლიტიკის ცვლილება და გააჩინა წინა პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების კორექტირების საჭიროება. კომპანიის მიერ არ მომხდარა სტანდარტის ადრეული დანერგვა გასული პერიოდების განმავლობაში.

ფასს 9-ის მიერ დაშვებული პრინციპის შესაბამისად მენეჯმენტის გადაწყვეტილებით არჩეულ იქნა მიდგომა არ მომხდარიყო კომპანიის შესადრისი მონაცემების კორექტირება და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების თავიდან გამოშვება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყველა კორექტირება რომელიც გამოწვეული სტანდარტის მოთხოვნების ცვლილებით აისახა კომპანიის საწყის გაუნაწილებელ მოგებაზე.

შესაბამისად, ცვლილებები განმარტებით შენიშვნებში ფასს 7 ის მოთხოვნების შესაბამისად წარმოდგენილია მიმდინარე პერიოდის განმარტებით შენიშვნებში. შესადრისი პერიოდის განმარტებითი შენიშვნები წარმოდგენილია და იმეორებს გასული პერიოდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ განმარტებით შენიშვნებში ასახულ ინფორმაციას.

ფასს 9-ის დანერგვას გავლენა აქვს მიმდინარე პერიოდის სააღრიცხვო პოლიტიკაზე, კლასიფიცირებასა და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულების განსაზღვრაზე, ისევე, როგორც ფინანსური აქტივების გაუფასურების ანარიცხებზე. ფასს 9 ასევე მნიშვნელოვნად ცვლის სხვა სტანდარტებს, როგორცაა: ფასს 7 – „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს.

მენეჯმენტმა წარმოადგინა განმარტებითი შენიშვნები რომლებიც უკავშირდება კომპანიის მიერ ფასს 9-ის დანერგვას. დეტალური ინფორმაცია ფასს 9-ის გავლენის შესახებ (ისევე როგორც ბასს

39 ის მოთხოვნების შესაბამისი პოლიტიკა) მიმდინარე პერიოდის სააღრიცხვო პოლიტიკაზე წარმოდგენილია ქვემოთ.

ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კატეგორიისა და საბალანსო მაჩვენებლის ცვლილების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ:

ბასს 39			ფასს 9	
საბალანსო მუხლი	საზომი კატეგორია	საბალანსო ღირებულება	საზომი კატეგორია	საბალანსო ღირებულება
ფული და ფულის ექვივალენტები	ამორტ. ღირ.	682,750	ამორტ. ღირ.	682,750
დებიტორული დავალიანება	ამორტ. ღირ.	3,566,749	ამორტ. ღირ.	3,327,802
გაცემული სესხები	ამორტ. ღირ.	3,247,191	ამორტ. ღირ.	3,186,292
ჯამი		7,496,690		7,196,844
კრედიტორული დავალიანება	ამორტ. ღირ.	14,491,668	ამორტ. ღირ.	14,491,668
მიღებული სესხები	ამორტ. ღირ.	27,349,085	ამორტ. ღირ.	27,349,085
ჯამი		41,840,753		41,840,753

ბ) კომპანიამ ჩაატარა ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელისა და ფულადი სახსრების მახასიათებლების დეტალური ანალიზი იხილეთ ქვემოთ 2.2 მუხლში.

ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილების შესახებ ბასს 39 ისა და ფასს 9-ის კატეგორიების მიხედვით რომელიც დაინერგა 2018 წლის 1 იანვრიდან.

ბასს 39-ის მიხედვით 01.01.2018 მდგომარეობით		ფასს 9-ის მიხედვით 01.01.2018 მდგომარეობით	
რეკლას იფ.	კორექტი რება	რეკლას იფ.	კორექტი რება

საბალანსო მუხლი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ფული და ფულის ექვივალენტები				
საწყისი ნაშთი ბასს 39-ის მიხ. და საბოლოო ნაშთი ფასს 9- ის მიხ.	682,750	-	-	682,750
დებიტორული დავალიანება				
საწყისი ნაშთი ბასს 39-ის მიხ. და საბოლოო ნაშთი ფასს 9- ის მიხ.	3,566,749	-	-	-
	-	-	(238,947)	-
	-	-	-	3,327,802
გაცემული სესხები				
საწყისი ნაშთი ბასს 39-ის მიხ. და საბოლოო ნაშთი ფასს 9- ის მიხ.	3,247,191			
			(60,899)	
				3,186,292
ჯამი	7,496,690	-	(299,846)	7,196,844
კრედიტორული დავალიანება				
საწყისი ნაშთი ბასს 39-ის მიხ. და საბოლოო ნაშთი ფასს 9- ის მიხ.	15,903,210	-	-	15,903,210
მიღებული სესხები	27,349,085	-	-	27,349,085
ჯამი	43,252,295	-	-	43,252,295

გ) გაუფასურების რეზერვის ცვლილება ბასს 39 ისა და ფასს 9-ის:

ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გაუფასურების ანარიცხი ბასს 39 და შესახებ ბასს 39 ისა და ფასს 9-ის კატეგორიების მიხედვით რომელიც დაინერგა 2018 წლის 1 იანვრიდან.

	ბასს 39_ის მიხედვით		ფასს 9-ის მიხედვით 1.1.2018 მდგომარეობით	
	რეკლასი ფ.	კორექტირ ება	მდგომარეობით	
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
დებიტორული მოთხოვნები	-	-	(238,947)	(238,947)
გაცემული სესხები			(60,899)	(60,899)
ჯამი	-	-	(299,846)	(299,846)

როგორც ზემოთ წარმოდგენილ ცხრილებშია ნაჩვენები ფასს 9-ის მოთხოვნების შესაბამისად განისაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საზომი კატეგორიები და მოხდა მათი კლასიფიცირება მანამდე არსებულ კატეგორიაში, თუმცა განსხვავებულად იქნა გამოანგარიშებული გაუფასურების ანარიცხი, ანარიცხების შექმნა მოხდა ახალი სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად და გამოყენებულ იქნა „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის“ მოდელი.

ფასს 15 - ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან

2018 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა და დაინერგა ფასს 15, რომელიც გამოიცა 2014 წლის მაისში. სტანდარტი ითვალისწინებს შემოსავლის აღიარების ერთიან მოდელს. სტანდარტის ძირითად პრინციპს წარმოადგენს მიდგომა, რომ საწარმომ დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებელისთვის გადაცემის ასახვისას, ამონაგები უნდა აღიაროს იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც საწარმო მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

სტანდარტი ადგენს მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით შემოსავლის აღიარების მოდელს, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლის განსაზღვრას ტრანზაქციის

ღირებულების პროპორციულად. სტანდარტის შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ.

საკრედიტო რისკი წარმოდგენილია განცალკევებულად, როგორც ხარჯი, ნაცვლად იმისა, რომ დაკორექტირებულიყო შემოსავალი. მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებები წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში როგორც საკონტრაქტო ვალდებულებები, საკონტრაქტო აქტივები ან მოთხოვნები, კლასიფიკაცია დამოკიდებულია კომპანიის მხრიდან საკონტრაქტო მოთხოვნების შესრულებასა და მომხმარებლის მხრიდან საზღაურის გადახდასთან.

მომხმარებლის მოზიდვასთან დაკავშირებული ხარჯები ისევე როგორც კონტრაქტის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები ექვემდებარება განცალკევებული კრიტერიუმით წარმოდგენას და კაპიტალიზირდება როგორც აქტივი, რომელიც ამორტიზირდება კონტრაქტის მოქმედების განმავლობაში.

კომპანიის მიერ გამოყენებული იქნა ფასს 15 მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. ფასს 15-ის ამოქმედებას არ მოუხდენია არსებითი გავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

კომპანიას არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2018 წლის 1 იანვარს დაწყებული ფისკალური წლისთვის.

ხელმძღვანელობის მოლოდინით, ახალი სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ძალაში შესვლის შემდეგ. კომპანიამ შეაფასა, შესაძლებლობისამებრ, ყველა ამ ახალი სტანდარტისა და ცვლილების შესაძლო გავლენა, რომელიც ძალაში შევა მომავალი პერიოდებისთვის.

ფასს 16 იჯარა (გამოშვებული 2016 წლის იანვარში) ახალი სტანდარტი ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვრიდან, რომელიც შეცვლის ბასს-17 და მის განმარტებებს. მნიშვნელოვანია ის, რომ თითქმის ყველა იჯარის სახეობა, ბალანსში მოექცევა ერთი მოდელის ქვეშ (გარდა 12 თვეზე ნაკლები და დაბალ-ღირებულებიანი იჯარებისა). ეს ცვლილებები მოახდენს ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავების ელიმინირებას. თუმცა მეიჯარის აღრიცხვის მეთოდი უმეტესწილად უცვლელი დარჩება და ამ შემთხვევაში ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავება შენარჩუნებული იქნება. დირექტორების აზრით ფასს 16-ს გამოიყენებს კომპანია, მას შემდეგ რაც ის გახდება სავალდებულო. თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.

ფასს 17 დაზღვევის ხელშეკრულებები (გამოცემულია 2017 წლის მაისში) - სტანდარტი, რომელიც შეცვლის ფასს 4-ს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვრიდან ან/და შემდგომ პერიოდებში (აღრუული

გამოყენება დაშვებულია მხოლოდ მაშინ როდესაც საწარმო იყენებს ფასს 9-ს და ფასს 15-ს) რომლის თანახმადაც, სადაზღვეო ვალდებულება განისაზღვრება მიმდინარე შესრულების ღირებულებით და წარმოადგენს შედარებით სრულ საზომ და წარმოსადგენ მიდგომას ყველა ტიპის სადაზღვეო გარიგებისთვის. ზემოხსენებული მოთხოვნები შექმნილია იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას სადაზღვეო გარიგებების თანმიმდევრული, პრინციპებზე დაფუძნებული ბუღალტრული აღრიცხვა, რაც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს საშუალებას მისცემს შეაფასოს ეფექტი, რომელიც აქვთ სადაზღვეო ხელშეკრულებებს საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობაზე, მის ფინანსურ შედეგებზე და ფულად ნაკადებზე. სტანდარტი ასევე მოითხოვს რომ იგივე პრინციპით აღირიცხოს გადაზღვევისა და დისკრეციული მონაწილეობის მახასიათებლებით გაცემული საინვესტიციო ხელშეკრულებები. გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიას არ გააჩნია როგორც გამოცემული დაზღვევის ხელშეკრულებები, ასევე გადაზღვევის ხელშეკრულებები, სტანდარტს არ აქვს მოსალოდნელი ეფექტი კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 15 - ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან

2018 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა და დაინერგა ფასს 15, რომელიც გამოიცა 2014 წლის მაისში. სტანდარტი ითვალისწინებს შემოსავლის აღიარების ერთიან მოდელს. სტანდარტის ძირითად პრინციპს წარმოადგენს მიდგომა, რომ საწარმომ დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემის ასახვისას, ამონაგები უნდა აღიაროს იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც საწარმო მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

სტანდარტი ადგენს მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით შემოსავლის აღიარების მოდელს, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლის განსაზღვრას ტრანზაქციის ღირებულების პროპორციულად. სტანდარტის შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ.

საკრედიტო რისკი წარმოდგენილია განცალკევებულად როგორც ხარჯი, ნაცვლად იმისა, რომ დაკორექტირებულიყო შემოსავალი. მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებები წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში როგორც საკონტრაქტო ვალდებულებები, საკონტრაქტო აქტივები ან მოთხოვნები, კლასიფიკაცია დამოკიდებულია კომპანიის მხრიდან საკონტრაქტო მოთხოვნების შესრულებასა და მომხმარებლის მხრიდან საზღაურის გადახდასთან.

მომხმარებლის მოზიდვასთან დაკავშირებული ხარჯები ისევე როგორც კონტრაქტის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები ექვემდებარება განცალკევებული კრიტერიუმით წარმოდგენას და კაპიტალიზირდება როგორც აქტივი, რომელიც ამორტიზირდება კონტრაქტის მოქმედების განმავლობაში.

კომპანიის მიერ გამოყენებული იქნა ფასს 15 რეტროსპექტული მიდგომით.

ფასს 15-ის ამოქმედებას არ მოუხდენია არსებითი გავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

კომპანიას არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2018 წლის 1 იანვარს დაწყებული ფისკალური წლისთვის.

ხელმძღვანელობის მოლოდინით, ახალი სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ძალაში შესვლის შემდეგ. კომპანიამ შეაფასა, შესაძლებლობისამებრ, ყველა ამ ახალი სტანდარტისა და ცვლილების შესაძლო გავლენა, რომელიც ძალაში შევა მომავალი პერიოდებისთვის.

ფასს 16 იჯარა (გამოშვებული 2016 წლის იანვარში) ახალი სტანდარტი ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვრიდან, რომელიც შეცვლის ბასს-17 და მის განმარტებებს. მნიშვნელოვანია ის, რომ თითქმის ყველა იჯარის სახეობა, ბალანსში მოექცევა ერთი მოდელის ქვეშ (გარდა 12 თვეზე ნაკლები და დაბალ-ღირებულებიანი იჯარებისა). ეს ცვლილებები მოახდენს ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავების ელიმინირებას. თუმცა მეიჯარის აღრიცხვის მეთოდი უმეტესწილად უცვლელი დარჩება და ამ შემთხვევაში ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავება შენარჩუნებული იქნება. დირექტორების აზრით ფასს 16-ს გამოიყენებს კომპანია, მას შემდეგ რაც ის გახდება სავალდებულო. თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.

ფასს 17 დაზღვევის ხელშეკრულებები (გამოცემულია 2017 წლის მაისში) - სტანდარტი, რომელიც შეცვლის ფასს 4-ს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვრიდან ან/და შემდგომ პერიოდებში (აღრეული გამოყენება დაშვებულია მხოლოდ მაშინ როდესაც საწარმო იყენებს ფასს 9-ს და ფასს 15-ს) რომლის თანახმადაც, სადაზღვეო ვალდებულება განისაზღვრება მიმდინარე შესრულების ღირებულებით და წარმოადგენს შედარებით სრულ საზომ და წარმოსადგენ მიდგომას ყველა ტიპის სადაზღვეო გარიგებისთვის. ზემოხსენებული მოთხოვნები შექმნილია იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას სადაზღვეო გარიგებების თანმიმდევრული, პრინციპებზე დაფუძნებული ბუღალტრული აღრიცხვა, რაც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს საშუალებას მისცემს შეაფასოს ეფექტი, რომელიც აქვთ სადაზღვეო ხელშეკრულებებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, მის ფინანსურ შედეგებზე და ფულად ნაკადებზე. სტანდარტი ასევე მოითხოვს რომ იგივე პრინციპით აღირიცხოს გადაზღვევისა და დისკრეციული მონაწილეობის მახასიათებლებით გაცემული საინვესტიციო ხელშეკრულებები. გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიას არ გააჩნია როგორც გამოცემული დაზღვევის ხელშეკრულებები, ასევე გადაზღვევის ხელშეკრულებები, სტანდარტს არ აქვს მოსალოდნელი ეფექტი ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2.2. სააღრიცხვო პოლიტიკა

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლები და ხარჯები აღიარებულია დარიცხვის საფუძველზე.

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან. საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება, მაშინ როდესაც საწარმო მყიდველს საქონელზე ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს, საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს; შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა; მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

შემოსავალი მომსახურების გაწევიდან. შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავალი განისაზღვრება სამართლიანი ღირებულებით რომელშიც გათვალისწინებულია კომპანიის მიერ გაკეთებული ფასდაკლებები და ფასდათმობები, შესაბამისად შემოსავალი მცირდება შეფასებული ფასდაკლებით დაბრუნებით და სხვა მსგავსი შეღავათებით რომელიც განხორციელდა პერიოდის განმავლობაში. ხარჯები აღიარდება იმ პერიოდში რომელ პერიოდშიც მოხდა შესაბამისი შემოსავლის აღიარება.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღირიცხვა უნდა განხორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

ოფისის აღჭურვილობა	15 %
მანქანა დანადგარები და სხვა ელექტრონული მოწყობილობები	8%
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	15%
კომპიუტერული ტექნიკა	20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%
სპეციალური დანიშნულების აღჭურვილობა	20%
სხვა ძირითადი საშუალებები	15%

აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეულ საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან გამოყენებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარება ხორციელდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, მათ შორის საიმპორტო ბაჟს და უკანდაუბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო დისკონტების და ფასდაკლებების დაქვითვის შემდეგ და აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ნებისმიერ სხვა პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებისთვის დარიცხული ამორტიზაციისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. ამორტიზაციის გამოთვლა ხორციელდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებელის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება FIFO მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. დასრულებულ და მიმდინარე პროექტების ღირებულება მოიცავს სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულებას, პირდაპირ სახელფასო და სხვა ხარჯებს გარდა მიღებული სესხებისა. სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას

არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული აქტივის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული შეფასებითი დანახარჯები.

მოძველებული მარაგების ჩამოწერა ხორციელდება წმინდა სარეალიზაციო ღირებულების გათვალისწინებით.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება როგორც ფინანსური იჯარა, თუ მოიჭარეს გადაეცემა მესაკუთრეობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, გადასახდელი საიჯარო ვალდებულებები აღიარდება, როგორც მოგება ან ზარალი წრფივი მეთოდით საიჯარო პერიოდის განმავლობაში. საოპერაციო იჯარის აღებასთან დაკავშირებით მიღებული წახალისება აღირიცხება როგორც საიჯარო ხარჯის შემცირება, წრფივი მეთოდით, საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები

ამორტიზირებული ღირებულება და ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულება არის ღირებულება, რომლითაც შეფასდება ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარების დროს, მინუს სესხის ძირი თანხის დასაფარად გადასახდელი თანხები, პლუს ან მინუს დაგროვილი ამორტიზაცია, თავდაპირველ ღირებულებასა და დასაფარ ღირებულებას შორის სხვაობის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი და მინუს (პირდაპირ, ან რეზერვის ანგარიშის გამოყენებით) გაუფასურების ზარალი, ან თანხის ამოუღებლობით (უიმედო ვალით) წარმოქმნილი ნებისმიერი დანაკარგები.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი შეფასებული ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ნეტო საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშების დროს, საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტებიდან მისაღები ფულადი ნაკადები უნდა შეაფასოს ყველა სახელშეკრულებო პირობის გათვალისწინებით, მაგრამ არ უნდა გაითვალისწინოს მომავალი საკრედიტო ზარალი. გაანგარიშება მოიცავს ყველა საზღაურსა და გადახდილ ან მიღებულ ერთეულს (აქტივის ნომინალური ღირებულების ცვლილების ყოველი ერთეული) ხელშეკრულების მხარეებს შორის, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, აგრეთვე გარიგების დანახარჯებსა და ყველა სხვა პრემიასა და ფასდათმობას. არსებობს ვარაუდი, რომ მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტების ჯგუფის მოსალოდნელი ვადა და ფულადი ნაკადები შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

როდესაც კომპანიის მიერ ხდება მომავალი ფულადი ნაკადების გადახედვა შესაბამისი ფინანსური აქტივი ან ვალდებულება კორექტირდება, რათა აისახოს ცვლილებები. კომპანიის მიერ ნებისმიერი ცვლილება აღიარებულია მოგება-ზარალში.

საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო ამონაგები საწარმომ უნდა გამოითვალოს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, კერძოდ, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ფინანსური აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

ა) შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივები. საწარმომ ამგვარი ფინანსური აქტივებისთვის, თავდაპირველი აღიარებისას უნდა განსაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი და გამოიყენოს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში.

ბ) ფინანსური აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენს შეძენილ ან შექმნილ გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებს, არამედ შემდგომში გახდა საკრედიტო რისკის გავლენით გაუფასურებული ფინანსური აქტივები. ამგვარი ფინანსური აქტივების შემთხვევაში, საწარმომ, მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა გამოიყენოს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში.

თავდაპირველი აღიარება

საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ბაზრის სტანდარტული პირობებით ფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვისას ფინანსური აქტივების აღიარება და აღიარების შეწყვეტა უნდა მოხდეს გარიგების თარიღით ან ანგარიშსწორების თარიღით, შესაბამისად.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისათვის კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებისთანავე, აღიარებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის ანარიცხს მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანაგრიშგებაში.

თუ თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივის და ვალდებულების რეალური ღირებულება განსხვავდება გარიგების ღირებულებისაგან ორგანიზაცია ფინანსურ ინსტრუმენტებს ამ თარიღისთვის აღრიცხავს შემდეგნაირად:

ა) თუ რეალური ღირებულება დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების აქტიური ბაზრის კოტირებული ფასით (ე.ი პირველი დონის ამოსავალი მონაცემი), ან ეყრდნობა შეფასების ისეთ მეთოდს, რომელშიც გამოიყენება მხოლოდ ემპირიული ბაზრების მონაცემები.

ორგანიზაცია თავდაპირველი აღიარებისას რეალურ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის სხვაობას აღიარებს როგორც შემოსულობა ან ზარალი.

ბ) ყველა სხვა შემთხვევაში, რეალური ღირებულება კორექტირდება თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრულ რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის სხვაობის თანხის გადავადების გზით.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, კომპანია გადავადებულ სხვაობას აღიარებს როგორც შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ იმ ოდენობით, რომელიც წარმოიქმნება ისეთი ფაქტორის ცვლილებით (დროის ფაქტორის ჩათვლით), რომელსაც ბაზრის მონაწილეები განიხილავდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას.

ფინანსური აქტივები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

2018 წლის 1 იანვრიდან კომპანია იყენებს ფასს 9-ს და ფინანსურ აქტივებს აფასებს მომდევნო სამი კატეგორიიდან ერთ-ერთის მიხედვით:

სამართლიანი ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით;

სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით;

ამორტიზირებული ღირებულებით.

სავალო ინსტრუმენტები

სავალო ინსტრუმენტები არის ყველა ის ინსტრუმენტი, რომელიც შეესაბამება განმარტებას, რომ ინსტრუმენტის გამომშვების პერსპექტივიდან იგი წარმოადგენს ფინანსურ ვალდებულებას. სავალო ინსტრუმენტებია სესხები, სახელმწიფო და კორპორატიული ბონდები, კლიენტისგან შეძენილი სავაჭრო დებიტორული მოთხოვნები.

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება სავალო ინსტრუმენტების დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

ა) ორგანიზაციის ბიზნესმოდელი, რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივების მართვისთვის და

ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

აღნიშნულ ფაქტორებზე დაყრდნობით კომპანია ახდენს სავალო ინსტრუმენტების კლასიფიცირებას ერთ-ერთში შემდგომი სამი საზომი კატეგორიიდან:

- ამორტიზირებული ღირებულება: ორგანიზაცია ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას. აქტივის ღირებულება კორექტირდება მოსალოდნელი საკრედიტო

ზარალის ანარიცხების აღიარებით. საპროცენტო შემოსავალი აღნიშნული აქტივებისთვის კლასიფიცირდება როგორც „საპროცენტო და მსგავსი ტიპის შემოსავალი“ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

- რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით: ფინანსური აქტივი, რომელსაც ორგანიზაცია ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვა და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას აღიარებულია როგორც რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ღირებულებაში მოძრაობები აისახება სხვა სრულ შემოსავალში გარდა გაუფასურების მოგებისა და ზარალის აღიარებისა, საპროცენტო შემოსავლისა და კურსთაშორის სხვაობის ეფექტისა რომელიც აღიარდება მოგება-ზარალში. როდესაც ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება კუმულატიური მოგება ან ზარალი რომლის ასახვაც მოხდა სხვა სრულ შემოსავალში რეკლასიფიცირდება კაპიტალიდან მოგება-ზარალში და აღიარდება „წმინდა საინვესტიციო შემოსავალი“. საპროცენტო შემოსავალი ფინანსური აქტივისგან კლასიფიცირდება როგორც საპროცენტო შემოსავალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

- რეალური ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით: აქტივი რომელიც შეფასებული არ არის ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით აღიარდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში.

ორგანიზაციის ბიზნესმოდელი გვიჩვენებს, როგორ მართავს საწარმო თავის ფინანსურ აქტივებს, ფულადი ნაკადების გენერირების მიზნით, ანუ ორგანიზაციის ბიზნესმოდელით განისაზღვრება, რა სახით წარმოიქმნება ფულადი ნაკადები: სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ფინანსური აქტივების გაყიდვით, თუ ერთობლივად ორივე გზით. თუ არცერთი აღნიშნული მოდელი არ არის შესაბამისობაში, ასეთ შემთხვევაში ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება როგორც სხვა ბიზნეს მოდელი და იზომება სამართლიანი ღირებულებით.

ბიზნეს მოდელის იმ კატეგორიას, სადაც აქტივების ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და გაყიდვა, კომპანია აფასებს ფინანსური ინსტრუმენტებიდან მისაღები ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა ძირის და პროცენტის გადახდას (SPPI ტესტი).

შეფასებისას, კომპანია განსაზღვრავს, შეიცავს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები თანმიმდევრულ გადახდებს საკრედიტო შეთანხმების მიხედვით. მაგალითად, პროცენტი მოიცავს თუ არა ანაზღაურებას ფულის დროითი ღირებულების, გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაუფარავ ძირ თანხასთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკსა და გასესხებასთან დაკავშირებულ სხვა ტიპური რისკებისა და დანახარჯების სანაცვლოდ, ასევე მოგების მარჟას.

თუ სახელშეკრულებო პირობები მნიშვნელოვნად ზრდის რისკს ან არასტაბილურობას, რაც არ არის შესაბამისობაში სესხის ძირითად ხელშეკრულებასთან, დაკავშირებული ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგება ან ზარალში ასახვით.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაცია ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს, იგი ახდენს ყველა შესაბამისი ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაციას.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს კომპანიის აქტივებში ნარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. კომპანიის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებულ შემოსავლებთან ერთად გამოშვების ხარჯების გამოკლებით. წილობრივი ინსტრუმენტების მაგალითია ჩვეულებრივი აქციები.

გაუფასურება

კომპანია წინდახედულობის პრინციპიდან გამომდინარე აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს (ECL), იმ ტიპის ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავალში ასახვით.

ორგანიზაცია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს აფასებს ისეთი მეთოდით რომელიც ასახავს:

- მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ ოდენობას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით;
- ფულის დროით ღირებულებას; და
- გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეწონილი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე.

დებიტორულ დავალიანებებს, რომლებიც კომპანიის შეფასებით არ უფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია აუფასურებს ჯგუფურად, წინა წლების გადახდების გათვალისწინებით.

გაუფასურების გაანგარიშების მიდგომის ცხრილი მოცემულია ქვემოთ:

ვადაგადაცილების დღეები	< 30	31-60	61-90	91- 180	>181
დარეზერვების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებს მიღების სახელშეკრულებო ვადა ეწურება ან როდესაც ხდება შემდეგი ორი სიტუაციიდან ერთ-ერთი:

- 1) ორგანიზაცია გადასცემს ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებას ან
- 2) არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს და არ ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე.

ფინანსური ვალდებულებები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

საწარმომ ყველა ფინანსურ ვალდებულებას უნდა მიანიჭოს კლასიფიკაცია „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“, გარდა:

- ა) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც ასახულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ბარალში ასახვით. ასეთი ვალდებულებები, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ჩათვლით, რომლებიც ვალდებულებებს წარმოადგენს, საწარმომ შემდგომში უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით;
- ბ) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც იმ შემთხვევაში წარმოიქმნება, როდესაც ფინანსური აქტივის გადაცემა არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, ან, როდესაც გამოიყენება აქტივში მონაწილეობის შენარჩუნების მიდგომა.
- გ) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებისა.

აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილს) კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებს, როდესაც ის შესრულებად - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა. არსებითად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტის გაცვლა არსებულ გამსესხებელსა და მსესხებელს შორის განხილულ უნდა იქნეს, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები არსებითად განსხვავებულად მიიჩნევა, თუ თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით განსაზღვრული ახალი პირობების შესაბამისი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, ნებისმიერი ნეტო გადახდილი საზღაურის (გადახდილ საზღაურს მინუს მიღებული საზღაური) ჩათვლით, სულ მცირე 10 პროცენტით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულებისაგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა განიხილება როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოშობილი დანახარჯები თუ საზღაური უნდა აღიარდეს, როგორც გაუქმების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა არ განიხილება, როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოქმნილი დანახარჯები თუ საზღაური აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში.

გასაყიდად ფლობილი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები

შეწყვეტილი ოპერაციები წარმოადგენენ ბიზნესის ცალკეულ ძირითად ხაზებს ან გეოგრაფიულ სეგმენტებს, რომლებიც გაიყიდა ან კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად გამიზნული. როდესაც ისინი გამიზნული იყო გამოყენებისთვის, შეწყვეტილი ოპერაციები წარმოადგენდა ფულადი სახსრების წარმომქნელ ერთეულს ან ფულადი სახსრების წარმომქნელ ერთეულთა ჯგუფს. ისინი წარმოადგენენ ოპერაციებსა და ფულადი სახსრების ნაკადებს, რომლებიც ცალსახად განსხვავდება სუბიექტის სხვა ნაწილებისგან, ოპერაციულად და ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის. მათი შედეგები კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ცალკე არის ნაჩვენები და შედარებითი მონაცემები ხელახლა გამოისახება მათი უწყვეტიდან შეწყვეტილ ოპერაციებში რეკლასიფიცირებისთვის.

მას შემდეგ რაც აქტივის კლასიფიცირება ხდება როგორც გასაყიდად გამიზნული იგი აღირიცხება ჯგუფის სხვა პოლიტიკის მიხედვით, რომელიც გულისხმობს აქტივისა და აქტივთა ჯგუფის ღირებულების განსაზღვრას საბალანსო ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯებს შორის უმცირესით.

ნებისმიერი გაუფასურების ზარალი განაწილებულია თავდაპირველად გუდვილზე შემდგომ კი აქტივსა და ვალდებულებებზე პრო რატას საფუძველზე, გარდა მარაგების, ფინანსური აქტივების, გადავადებული საგადასახადო აქტივების, საინვესტიციო ქონებისა და ბიოლოგიური აქტივებისა რომლის აღიარება გრძელდება კომპანიის უკვე დადგენილი პოლიტიკის შესაბამისად განგრძობით ოპერაციებზე. გაუფასურების ზარალი კლასიფიკაციის თავდაპირველი შეცვლისას და შემდგომი ღირებულების ცვლილება აღირიცხება მოგება ზარალზე.

ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე მათი გასაყიდად გამიზნულ აქტივებში გადატანის მომენტიდან წყდება ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა.

ოპერაციების კლასიფიცირება შეწყვეტილად ხორციელდება მაშინ როდესაც იგი აკმაყოფილებს კრიტერიუმებს რომლებიც განსაზღვრულია გასაყიდად არსებული აქტივების აღიარებისთვის.

ოპერაციების შეწყვეტილ ოპერაციებში კლასიფიცირების მომენტში ხდება კონსოლიდირებულ მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების თავიდან წარდგენა იმგვარად თითქოს ოპერაციები კლასიფიცირებულ იქნა შეწყვეტილად პერიოდის დასაწყისში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს .

ინვესტიციები შვილობილ კომპანიაში და მეკავშირეში

ინვესტიციები შვილობილ და მეკავშირე კომპანიებში აღირიცხება თვითღირებულებით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება ინვესტიციის გაუფასურებაზე შემოწმება. დივიდენდები შვილობილი და მეკავშირე კომპანიებიდან აღიარდება კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როცა მტკიცდება კომპანიის უფლება, მიიღოს აღნიშნული დივიდენდი

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კურსთაშორისის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

	\$	€
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.68	3.07
საშუალო გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2.53	2.99
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.59	3.10
საშუალო გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2.51	2.83

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის მიხედვით.

ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებების კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია წმინდა ღირებულებით, კომპანია ახორციელებს ურთიერთჩათვლას როდესაც გააჩნია იურიდიული საფუძველი.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება, ხოლო რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

კაპიტალი

კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილებით, რომელიც აღიარდება სამართლიანი ღირებულებით შეტანის მომენტისთვის.

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. როდესაც საწესდებო კაპიტალი იზრდება არაფულადი შენატანის სახით, აღიარდება როგორც დამატებითი შენატანი საწესდებო კაპიტალში.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად, მათი დეკლარირების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც დამტკიცდება მათი განაწილება. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

3 შეწყვეტილი ოპერაციები

2018 წლის განმავლობაში მშობელმა კომპანიამ დახურა თბილისში მდებარე მაღაზიები და გაყიდა მაღაზიებში განთავსებული ძირითადი საშუალებები და იჭარის უფლებები. მენეჯმენტმა დაამტკიცა გაყიდვის გეგმა რათა კონცენტრირება მოეხდინა მნიშვნელოვან ობიექტებზე.

		2018	2017
შემოსავალი	15	1,441,191	13,117,135
თვითღირებულება	16	(1,090,729)	(10,210,242)
საერთო მოგება		350,462	2,906,893
მარკეტინგული შემოსავალი	19	67,344	528,927

სს “სმარტ რითეილ”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	17	(562,745)	(4,469,355)
სხვა წმინდა არა-საოპერაციო შემოსავალი და ხარჯი	18	646,119	8,321,051
მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან		501,180	7,287,516
სხვა სრული შემოსავალი		-	-

მაღაზიის გაყიდვა:

	2018	2017
გაყიდვის ღირებულება	1,652,000	15,630,280
აქტივების მიმდინარე საბალანსო ღირებულება	(1,005,881)	(7,309,229)
მოგება დაბეგვრამდე	646,119	8,321,051
მოგების გადასახადი		-
მოგება დაბეგვრის შემდეგ	646,119	8,321,051

4 ფული და ფულის ექვივალენტი

	31-დეკ-18	31-დეკ-17
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	52,138	2,497
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	668,108	127,496
ნაღდი ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში	20,337	81,615
ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	347,010	471,142
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	1,087,593	682,750

ფულის და ფულის ექვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის.

კურსთაშორის გავლენაზე ინფორმაცია იხ. შენიშვნა N 20-ში

5 სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31-დეკ-18	31-დეკ-17
საკვები	1,648,082	2,034,734
ალკოჰოლური სასმელები	1,065,352	1,291,067
არალკოჰოლური სასმელები	363,121	440,056
თამბაქო	299,567	363,036

სს “სმარტ რითეილ”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ჰიგიენური საშუალებები	243,873	295,543
საყოფაცხოვრებო აქსესუარები	314,089	380,634
სხვა პროდუქტები	246,045	296,922
სულ მარაგები	4,180,129	5,101,992

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის სასაქონლო მატერიალური მარაგები არ არის დაგირავებული.

6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-დეკ-18	31-დეკ-17
სავაჭრო მოთხოვნები	3,454,783	3,404,188
მოთხოვნები თანამშრომლებისგან	22,347	28,060
საგადასახადო მოთხოვნები	-	134,777
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(1,428,373)	-
სულ დებიტორული დავალიანება	2,048,757	3,567,025

სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის.

კურსთაშორის გავლენაზე ინფორმაცია იხ. შენიშვნა N 20-ში

დებიტორული დავალიანების ცხრილი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

დღეების ვადაგადაცილება	< 30	31-60	61-90	91-180	>180	
პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%	ჯამი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,634,771	140,143	131,346	378,949	1,169,574	3,454,783
რეზერვი	(29,480)	(7,008)	(32,836)	(189,475)	(1,169,574)	(1,428,373)
წმინდა 31.12.2018 მდგომარეობით	1,605,291	133,135	98,510	189,474	-	2,026,410

გაუფასურების ანარიცხის მოძრაობა წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდგენაირად:

	დებიტორული დავალიანების ანარიცხი	სულ
31 დეკემბერი 2017	-	-
ფასს 9-ის კორექტირება	(238,947)	(238,947)
1 იანვარი 2018	(238,947)	(238,947)
დარიცხვა წლის განმავლობაში	(1,189,426)	(1,189,426)
31 დეკემბერი 2018	(1,428,373)	(1,428,373)

სს „სმარტ რიტეილი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

7 ძირითადი საშუალებები

	კომპ. ტექნიკა	იჯარ. აღ. ქონ. კეთილმ.	მანქანა- დან. და სხვა ელ. მოწყ.	ოფისის აღჭ.	სპეც. დან.ძირ. საშ.	სატრანსპორტო საშუალებები	დაუინსტალირებელი ძირ. საშუალებები	სხვა ძირ. საშ.	სულ
ღირებულება									
2016 წ. 31 დეკ. მდგ.	441,446	1,517,382	2,613,058	959,192	1,416,286	48,699	59,062	3,886,414	10,941,539
შეძენა	62,135	103,123	1,329,566	238,285	146,111	-	312,084	26,356	2,217,660
გაყიდვა	-	-	-	-	-480	-	-	-	-480
2017 წ. 31 დეკ. მდგ.	503,581	1,620,505	3,942,624	1,197,477	1,561,917	48,699	371,146	3,912,770	13,158,719
შეძენა	19,154	0	32,084	26,132	285,832	-	-	90	363,292
გაყიდვა	(133,254)	(183,890)	(939,979)	(263,475)	(836,357)	-	-	(83,051)	(2,440,006)
2018 წ. 31 დეკ. მდგ.	389,481	1,436,615	3,034,729	960,134	1,011,392	48,699	371,146	3,829,809	11,082,006
ცვეთა და გაუფასურება									
2016 წ. 31 დეკ. მდგ.	128,634	171,147	735,268	367,814	469,341	25,087	-	3,155,854	5,053,145
ცვეთა წლის მანძილზე	91,325	314,307	586,709	272,229	662,472	7,048	-	582,592	2,516,682
2017 წ. 31 დეკ. მდგ.	219,959	485,454	1,321,977	640,043	1,131,813	32,135	-	3,738,446	7,569,827
ცვეთა წლის მანძილზე	87,611	190,955	590,176	196,944	293,386	8,882	-	383,244	1,751,198
გაყიდვა	(26,470)	(20,260)	(215,855)	(77,615)	(419,789)	-	-	(381,158)	(1,141,117)
2018 წ. 31 დეკ. მდგ.	281,100	656,149	1,696,298	759,372	1,005,410	41,017	0	3,740,532	8,179,878

სს “სმარტ რითეილ”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

წმინდა საბალანსო ღირებულება									
2016 წლის 31									
დეკემბრის	312,812	1,346,236	1,877,790	591,378	946,945	23,612	0	730,560	5,888,393
მდგომარეობით									
2017 წლის 31									
დეკემბრის	283,622	1,135,052	2,620,647	557,434	430,104	16,564	0	174,324	5,217,747
მდგომარეობით									
2018 წლის 31									
დეკემბრის	108,381	780,467	1,338,435	200,762	5,982	7,682	371,146	89,277	2,902,132
მდგომარეობით									

სპეციალური დანიშნულების აღჭურვილობა გამოიყენება წარმოების მიზნებისთვის. სპეციალური დანიშნულების აღჭურვილობაზე დარიცხული ცვეთა აღიარდება რეალიზებული საკვების თვითღირებულებაში.

8 არამატერიალური აქტივები

ღირებულება	პროგრამული უზრუნველყოფა	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
ღირებულება 2017 წლის 1	479,222	36,655	515,877
შეძენა	-	20,417	20,417
შიდა მოძრაობა	36,655	(36,655)	-
გაყიდვა	-	(1,814)	(1,814)
ღირებულება 2017 წლის 31	515,877	18,603	534,480
შეძენა	-	-	-
გაყიდვა	-	(18,603)	(18,603)
ღირებულება 2018 წლის 31	515,877	-	515,877
ამორტიზაცია და გაუფასურება			-
დაგროვილი ამორტიზაცია 2017 წლის 1 იანვრის	260,261	-	260,261
ამორტიზაცია წლის მანძილზე	110,521	-	110,521
დაგროვილი ამორტიზაცია 2017 წლის 31 დეკემბრის	370,782	-	370,782
ამორტიზაცია წლის მანძილზე	60,300	-	60,300
დაგროვილი ამორტიზაცია 2018 წლის 31 დეკემბრის	431,082	-	431,082
წმინდა საბალანსო			
2016 წლის 31 დეკემბრის	218,961	36,655	255,616
2017 წლის 31 დეკემბრის	145,095	18,603	163,698
2018 წლის 31 დეკემბრის	84,795	-	84,795

კომპანიის არამატერიალური აქტივები მოიცავს საბუღალტრო პროგრამის „1C“-ს. სხვა არამატერიალური აქტივები მოიცავს საბუღალტრო და სხვა ტიპის პროგრამებს რომლებიც არ არის ექსპლუატაციაში შესული.

9 გაცემული სესხები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	დაწყების თარიღი	დასრ. თარიღი	საპრ. გან.	ძირ. თანხის გად. პირობა	პროც. გად. პირობა	ვალუტა	თანხა
შპს სმარტ რუსთაველი	5/15/2015	12/31/2019	19%	პერიოდის ბოლოს	პერიოდის ბოლოს	ლარი	3,753,539
ველაჯიო დეველოპმენტნი	1/2/2014	12/31/2014	16%	პერიოდის ბოლოს	პერიოდის ბოლოს	ლარი	11,507
სულ გაც. სეს.							3,765,046
ძირ. თანხა							2,726,456
მისაღები პროცენტი							1,038,590
გაუფასურება							(60,899)
სულ გაცემული სესხები							3,704,147

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	დაწყების თარიღი	დასრ. თარიღი	საპრ. გან.	ძირ. თანხის გად. პირობა	პროც. გად. პირობა	ვალუტა	თანხა
შპს სმარტ რუსთაველი	5/15/2015	12/31/2019	19%	პერიოდის ბოლოს	პერიოდი ს ბოლოს	ლარი	3,236,667
ველაჯიო დეველოპმენტნი	1/2/2014	12/31/2014	16%	პერიოდის ბოლოს	პერიოდი ს ბოლოს	ლარი	10,524
სულ გაც. სეს.							3,247,191
ძირ. თანხა							2,726,455
მისაღები პროცენტი							520,736
სულ გაცემული სესხები							3,247,191

სესხები გაცემული დაკავშირებულ მხარეებზე. ველაჯიო დეველოპმენტზე გაცემული სესხი 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით იმყოფება ვადაგადაცილებაში. მენეჯმენტის გადანაცვლებით მსესხებელს უფლება მიეცა დაფაროს ძირითადი თანხა და პროცენტი

მომავალ პერიოდებში. სესხზე პროცენტის დარიცხვა არ შეწყვეტილა ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ.

10 კაპიტალი

2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით მფლობელთა კაპიტალი შეადგენს 13,793,978 ლარს (2017: 13,793,978 ლარი). 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელობაში იყო 2,500,000 აქცია (2017: 2,500,000)

მშობელი კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია კომპანია „გლობალ ინვესტორს ლიმიტედ (მალტა) " რომელსაც აკონტროლებს თანაბარი წილების მფლობელი სამსონ და ლევან ფხაკაძეები (50%-50%).

11 ინვესტიციები

2018 წელს მშობელი კომპანიის მიერ მოხდა შპს „სმარტ რუსთაველის“ 27,71% წილის შესყიდვა შპს „ველაჯიო“-სგან 2,000,100 ლარად. შესყიდვის ღირებულება განისაზღვრა საწესდებო კაპიტალის მიხედვით.

შპს „სმარტ რუსთაველი“ წარმოდგენილია თბილისში მდებარე ერთი სუპერმარკეტით.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია შპს „სმარტ რუსთაველი“-ს არააუდირებული ფინანსური ანგარიშგება:

	31-დეკ-2018	18-სექტ-2018
სულ აქტივები	10,473,382	10,017,043
სულ ვალდებულებები	14,788,115	13,985,567
საწესდებო კაპიტალი	7,217,686	7,217,686
დაგროვილი ზარალი	(11,532,419)	(11,186,210)
2018 წლის მოგება/(ზარალი)	(1,129,513)	(693,229)

12 მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა, საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები კორპორაციული მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ, (ცნობილი, როგორც კორპორაციული საგადასახადო სისტემის ესტონური მოდელი), რომლის მიხედვითაც, დაბეგვრის მომენტი არის შემოსავლის მიღებიდან მის განაწილებამდე. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო სისტემის ასეთი ცვლილების შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო

სს “სმარტ რითეილ”
 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში

ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

13 მიღებული სესხები

	31-დეკ-18	31-დეკ-17
მოკლევადიანი სესხები	22,635,485	11,240,382
გრძელვადიანი სესხები	17,968,022	16,108,703
სულ მიღებული სესხები	40,603,507	27,349,085

სს „სმარტ რიტეილი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ მიღებული მოკლევადიანი სესხები შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

	დანყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპრ. განაკვეთი	ძირის გადახდის პირობა	პროცენტის გადახდის პირობა	ვალუტა	თანხა
შპს ერთობა	1/3/18	1/1/21	11.80%	პერ. გან. ან დასრ. თარ.	პერ. გან. ან დასრ. თარ.	ლარი	11,319,643
ჰალიკ ბანკი	25/12/17	21/6/18	14.60%	პერ. გან. ან დასრ. თარ.	პერ. გან. ან დასრ. თარ.	ლარი	1,535,580
პაშა ბანკი	23/2/18	19/11/19	13.00%	პერ. გან. ან დასრ. თარ.	პერ. გან. ან დასრ. თარ.	ლარი	4,031,521
ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია	19/12/18	19/12/19	12.10%	პერ. გან. ან დასრ. თარ.	პერ. გან. ან დასრ. თარ.	ლარი	39,498
ალმა+	31/5/17	31/5/18	13%	პერ. გან. ან დასრ. თარ.	პერ. გან. ან დასრ. თარ.	ლარი	56,808
ფიზ. პირი 3	25/1/18	25/1/19	10%	პერ. გან. ან დასრ. თარ.	პერ. გან. ან დასრ. თარ.	დოლარი	1,752,913
ფიზ. პირი 1	29/7/16	29/7/17	9.83%	პერ. გან. ან დასრ. თარ.	პერ. გან. ან დასრ. თარ.	დოლარი	1,116,793
ფიზ. პირი 2	8/8/16	8/8/26	12%	პერ. გან. ან დასრ. თარ.	პერ. გან. ან დასრ. თარ.	დოლარი	1,328,206
ვითიბი სესხი	16/11/15	14/11/22	10%	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	დოლარი	417,036
არნეგი	30/4/18	31/12/23	5%	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	ევრო	1,037,487
სულ მიღებული სესხები							22,635,485
სულ ძირი							21,574,010
სულ გადასახდელი პროცენტი							1,061,475
სულ სესხი							22,635,485

სს „სმარტ რიტეილი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ მიღებული მოკლევადიანი სესხები შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპრ. განაკვეთი	ძირის გადახდის პირობა	პროცენტის გადახდის პირობა	ვალუტა	თანხა
ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია	4/1/2017- 10/25/2017	12/31/2017-10- 25-2018	12.8%-19%	პერ. გან. ან დასრ. თარ.	პერ. გან. ან დასრ. თარ.	ლარი	3,885,075
ჰალიკ ბანკი	12/25/2017- 6/30/2017	6/21/2018- 6/28/2018	14.6%- 10.5%	დასრულების თარიღში	დასრულების თარიღში	ლარი	3,008,387
ბაზის ბანკი	12/30/2016- 5/18/2017	1/14/2017- 4/18/2018	11.00%	დასრულების თარიღში	ყოველთვიურად	დოლარი	3,191,434
ამსტერდამის ბანკი	12/19/2013	4/25/2017	11.00%	დასრულების თარიღში	დასრულების თარიღში	ევრო	587,639
ფიზ. პირი 1	7/29/2016	7/29/2026	10%	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	დოლარი	92,692
ფიზ. პირი 2	8/8/2016	8/8/2026	13%	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	დოლარი	76,381
ფიზ. პირი 2	12/29/2017	12/29/2024	10%	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	დოლარი	386,433
ვითიბი ბანკი	10/2/2016- 6/8/2017	3/13/2023- 10/2/2023	10.00%	პერ. გან. ან დასრ. თარ.	ყოველთვიურად	დოლარი	12,341
სულ მიღებული სესხები							11,240,382
სულ ძირი							10,935,783
სულ გადასახდელი პროცენტი							304,599
სულ							11,240,382

2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ მიღებული გრძელვადიანი სესხები შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

სს “სმარტ რითეილ”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპრ. განაკვეთი	ძირის გადახდის პირობა	პროცენტის გადახდის პირობა	ვალუტა	თანხა
შპს ერთობა	3/1/2018	1/1/2021	11.30%	პერ. გან. ან დასრ. თარ.	ყოველთვიურად	ლარი	10,366,334
ფიზ.პირი 2	12/29/2017	12/29/2014	10%	პერ. გან. ან დასრ. თარ.	ყოველთვიურად	დოლარი	3,491,921
ფიზ.პირი 2	8/8/2016	8/8/2026	12.50%	პერ. გან. ან დასრ. თარ.	ყოველთვიურად	დოლარი	1,031,307
სს ვითიბი ბანკი	2/9/2016	2/10/2023	10%	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	დოლარი	463,937
სს ვითიბი ბანკი	4/22/2016	4/21/2023	10%	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	დოლარი	2,085,765
შპს არნევი	4/30/2018	12/31/2023	4.50%	განუსაზღვრელი	განუსაზღვრელი	ევრო	528,758
სულ							17,968,022
სესხის ძირი							16,650,294
გადასახდელი პროცენტი							1,317,728
სულ							17,968,022

სს „სმარტ რიტეილი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ მიღებული გრძელვადიანი სესხები შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპრ. განაკვეთი	ძირის გადახდის პირობა	პროცენტის გადახდის პირობა	ვალუტა	თანხა
ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია	12/1/2015- 12/30/2017	5/31/2019-1/10/2020	10-20.5%	პერ. გან. ან დასრ. თარ.	პერ. გან. ან დასრ. თარ.	ლარი	7,001,708
ველაჯიო	12/30/2017	12/21/2022	12%	პერ. გან. ან დასრ. თარ.	პერ. გან. ან დასრ. თარ.	ლარი	301,767
ბაზისბანკი	10/2/2016- 6/8/2017	10/2/2023-3/13/2023	10.00%	პერ. გან. ან დასრ. თარ.	ყოველთვიურად	დოლარი	3,374,849
ფიზ. პირი 1	7/29/2016	7/29/2026	10%	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	დოლარი	1,083,548
ფიზ. პირი 2	8/8/2016	8/8/2026	12.50%	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	დოლარი	995,026
ფიზ. პირი 2	12/29/2017	12/29/2024	10%	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	დოლარი	3,351,805
სულ							16,108,703
ძირითადი თანხა							15,793,598
გადასახდელი პროცენტი							315,105
სულ							16,108,703

სასესხო ვალდებულებების დიდი ნაწილი წარმოქმნილია დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხებით იხ. შენიშვნა N23. დაკავშირებულ მხარეებსა და სმარტს შორის არსებული შეთანხმების საფუძველზე კომპანიას შეუძლია დაფაროს სესხის ძირითადი თანხა და პროცენტი მისთვის სასურველ დროს.

დარიცხულმა პროცენტმა პერიოდის განმავლობაში შეადგინა 3,481,099 ლარი; (2017: 2,327,785 ლარი)

პერიოდის განმავლობაში გადახდილმა პროცენტმა შეადგინა 1,855,792 ლარი; (2017: 1,908,663 ლარი)

ვითიბი ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ პირობებს:

- სესხის დაფარვის კოეფიციენტი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 1.1.
- საკრედიტო ვალდებულების შეფარდება EBITDA - სთან უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 5-ს
- კაპიტალის შეფარდება საკუთარ აქტივებთან უნდა შეადგენდეს არანაკლებ 30%-ს

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პირობები არ დარღვეულა.

პერიოდის განმავლობაში დაცულია ამსტერდამის ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობა რომლის თანახმად კომპანიამ ყველა მნიშვნელოვანი ცვლილების შესახებ უნდა აცნობოს ბანკს.

სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტის შესახებ ინფორმაცია იხ. განმარტებით შენიშვნა N20-ში მიღებული სესხების დაფარვის შესახებ ინფორმაცია იხ. განმარტებით შენიშვნა N24-ში

14 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-18	31-დეკ-17
ავანსები	830,410	53,705
სავაჭრო ვალდებულებები	9,165,882	15,495,306
საგადასახადო ვალდებულებები	127,394	-
სხვა ვალდებულებები	329,709	354,199
სულ კრედიტორული დავალიანება	10,453,395	15,903,210

კრედიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას კონსოლიდირებული ანგარიშგების თარიღისთვის.

სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს ვალდებულებებს მომწოდებლებთან.

სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა იხ. განმარტებით შენიშვნა N 20-ში.

15 შემოსავალი

	2018	2017
წარმოება	4,433,672	4,613,784
საცალო გაყიდვები	31,803,383	32,273,865
სულ	36,237,055	36,887,649
შემოსავალი საცალო გაყიდვებიდან	2018	2017
საკვები	13,666,721	16,567,527
ალკოჰოლური სასმელი	5,217,865	5,181,271
უალკოჰოლო სასმელები	5,525,276	4,442,674
თამბაქო	5,159,982	2,831,753
პიგიენური საშუალებები	929,570	1,082,413
საყოფაცხოვრებო აღჭურვილობა	904,815	1,455,080
სხვა პროდუქტები	399,154	713,145
სულ	31,803,383	32,273,864

16 გაყიდული საქონლის თვითღირებულება

	2018	2017
წარმოება	4,545,230	4,291,962
საცალო გაყიდვები	25,190,619	24,237,565
სულ	29,735,849	28,529,527

წარმოების თვითღირებულება

	2018	2017
საკვები	2,639,496	2,925,352
ლიზინგი	59,399	-
იჯარა	475,563	360,047
ხელფასი	588,555	556,927
კომუნალური ხარჯები	557,542	332,284
ცვეთა და ამორტიზაცია	224,675	117,352
სულ	4,545,230	4,291,962

საცალო გაყიდვების თვითღირებულება

	2018	2017
საკვები	10,647,164	12,038,777
ალკოჰოლური სასმელი	3,948,172	4,145,056
უალკოჰოლო სასმელები	4,235,412	3,380,425
თამბაქო	4,716,149	2,498,906
პიგიენური საშუალებები	672,154	809,019
საყოფაცხოვრებო აღჭურვილობა	670,796	919,229
სხვა პროდუქტები	300,772	446,153
სულ	25,190,619	24,237,565

სს “სმარტ რითეილ”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მიღებული შემოსავლები შეწყვეტილი ოპერაციებიდან:

	2018	2017
წარმოება	417,011	3,020,701
საცალო გაყიდვები	1,024,180	10,096,434
სულ	1,441,191	13,117,135

გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	2018	2017
წარმოება	262,074	2,091,204
საცალო გაყიდვები	828,655	8,119,038
სულ	1,090,729	10,210,242

შემოსავლები წარმოებიდან	2018	2017
წარმოება	417,011	3,020,701
სულ	417,011	3,020,701

წარმოების დანახარჯები	2018	2017
საკვები	175,557	1,400,852
ლიზინგი	-	-
იჯარა	22,794	181,880
ხელფასი	35,258	281,335
კომუნალური ხარჯი	21,036	167,856
ცვეთა და ამორტიზაცია	7,429	59,281
სულ	262,074	2,091,204

შემოსავლები საცალო გაყიდვებიდან	2018	2017
საკვები	438,530	5,064,703
ალკოჰოლური სასმელები	168,490	1,659,888
უალკოჰოლო სასმელები	178,417	1,423,269
თამბაქო	166,621	907,189
პიგიენური საშუალებები	30,017	346,765
საყოფაცხოვრებო პროდუქცია	29,217	466,154
სხვა პროდუქტები	12,888	228,466
სულ	1,024,180	10,096,434

საცალო გაყიდვების თვითღირებულება	2018	2017
საკვები	332,837	4,101,103
ალკოჰოლური სასმელები	126,548	1,365,264
უალკოჰოლო სასმელები	135,755	1,113,416
თამბაქო	151,164	823,069
ჰიგიენური საშუალებები	21,544	266,468
სახოფაცხოვრებო პროდუქტები	21,501	302,768
სხვა პროდუქტები	9,640	146,950
სხვა ანაზღაურებადი ხარჯები	29,666	-
სულ	828,655	8,119,038

17 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018	2017
ხელფასის ხარჯი	4,111,156	7,012,053
ქონების იჯარა	2,522,031	1,765,651
კომუნალური	755,556	1,627,472
რეალიზაციის ხარჯი	-	592,659
სატრანსპორტო ხარჯი	242,236	399,820
დასუფთავების ხარჯი	222,729	327,720
ბანკის საკომისიო	226,786	281,904
საგადასახადო ხარჯი	76,753	252,353
რემონტის და შეკეთების ხარჯი	340,879	209,404
თანამშრომლების დაზღვევა	152,817	199,976
პროფესიული მომსახურების ხარჯი	98,481	78,220
კომუნიკაციის ხარჯი	64,362	77,663
საკანცელარიო	28,646	39,248
დაცვის ხარჯი	20,605	38,790
სარეკლამო ხარჯი	339,236	45,303
მივლინება	35,981	26,333
უიმედო ვალი	1,200,950	31,156
დაზღვევა	174,867	17,878
სხვა ხარჯი	444,781	627,546
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11,058,852	13,651,149

ტრასპორტირების ხარჯი მოიცავს საწყობიდან მაღაზიებამდე პროდუქტიის ტრანსპორტირებაზე გაწეულ დანახარჯებს. იჯარა მოიცავს მაღაზიების იჯარის ხარჯს.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები შეწყვეტილი ოპერაციებიდან:

	2018	2017
სარეკლამო ხარჯი	43,960	293,192
კომუნალური ხარჯი	93,374	516,460
დასუფთავების ხარჯი	-	79,316
ქონების იჯარა	62,487	2,048,071
თანამშრომლების დაზღვევა	11,025	52,243
სახელფასო ხარჯი	276,169	1,480,073
სხვა ხარჯები	75,730	-
სულ	562,745	4,469,355

18 წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)

	2018	2017
სხვა საოპერაციო შემოსავალი	2,152,165	1,552,026
საიტარო შემოსავალი	784,743	884,502
ქეშბექის შემოსავლები	1,128,294	-
სხვა შემოსავალი	239,128	667,524
სხვა საოპერაციო ხარჯი	3,031,984	687,882
მარაგების ჩამოწერა	1,412,648	579,762
კორექტირება საგადასახადო ბარათის მიხედვით	1,254,841	-
ჯარიმა	3,500	32,828
სხვა ხარჯები	360,995	75,294
სულ წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი	(879,821)	864,144

2018 წლის განმავლობაში მარაგების ჩამოწერის ხარჯი მოიცავს ინვენტარიზაციის შედეგად აღმოჩენილი დანაკლისის ჩამოწერის ხარჯებს 1,078,287 ლარის ოდენობით. აღნიშნული სასაქონლო მატერიალური მარაგები შედგებოდა შესაფუთი და სახარჯი მასალებისგან.

19 მარკეტინგული შემოსავალი

მარკეტინგული გამომუშავება ხდება სუპერმარკეტში არსებული მომხმარებლისთვის თვალსაჩინო სპეციალური ადგილების გაქირავებით.

სარეკლამო ოპერაციიდან მიღებული შემოსავალი ქვემოთ მოცემულია:

	2018	2017
სარეკლამო შემოსავლები	232,900	1,268,176
სულ	232,900	1,268,176

სარეკლამო ოპერაციიდან მიღებული შემოსავლები შეწყვეტილი ოპერაციებიდან ქვემოთ მოცემულია:

	2018	2017
სარეკლამო შემოსავლები	67,344	528,927
სულ	67,344	528,927

20 უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)

	2018	2017
კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება	2,043,330	479,283,630
მიღებული სესხები	1,105,471	2,848,366
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	3,955
ფული და ფულის ექვივალენტები	567,187	475,453,643
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	370,672	977,666
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	1,808,777	479,466,581
მიღებული სესხები	1,432,778	2,837,979
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	297,689	150,352
ფული და ფულის ექვივალენტები	78,310	475,063,871
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	1,414,379
სულ	234,553	(182,948)

21 პირობითი ვალდებულებები

კომპანია არის თანამსესხებელი სამმხრივ ხელშეკრულებაში რომელიც გაფორმდა 2012 წლის 13 ნოემბერს ევროპის განვითარების ბანკს, სს სმარტ რითეილსა და შპს ველაჯიო დეველოპმენტს შორის. ხელშეკრულების თანახმად ველაჯიო დეველოპმენტმა მიიღო სესხი 13,000,000 დოლარის ოდენობით. სესხი არ არის ასახული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რადგან სს სმარტ რითეილს არ მიუღია აღნიშნული თანხა.

საოპერაციო იჯარის ვალდებულებები - კომპანია, როგორც მოიჭარე

2015 წლის სექტემბერიში სს „სმარტ რითეილსა“ და სს „M2“-ს შორის გაფორმდა საოპერაციო იჯარის ხელშეკრულება, სადაც სს „სმარტ რითეილი“ წარმოდგენილია, როგორც - მოიჯარე. აღნიშნული ხელშეკრულებით, კომპანიამ იჯარით აიღო თბილისში მდებარე მაღაზიის ფართი, სადაც იგი ამჟამად ახორციელებს თავის საქმიანობას. ხელშეკრულება მოქმედებს 2040 წლის სექტემბერამდე შეთანხმების შესაბამისად ხელშეკრულება მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით. წლიური გადასახადი შეადგენს 281,724 ლარს.

2017 წლის დეკემბერიში სს „სმარტ რითეილსა“ და შპს „მკ ფროფერტი“-ს შორის გაფორმდა საოპერაციო იჯარის ხელშეკრულება, სადაც სს „სმარტ რითეილი“ წარმოდგენილია, როგორც - მოიჯარე. აღნიშნული ხელშეკრულებით, კომპანიამ იჯარით აიღო საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე რვა მაღაზიის ფართი, სადაც იგი ამჟამად ახორციელებს თავის საქმიანობას. ხელშეკრულება მოქმედებს 2037 წლის დეკემბრამდე შეთანხმების შესაბამისად ხელშეკრულება მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით. წლიური გადასახადი შეადგენს გამომუშავებული შემოსავლის 4%-ს - საშუალოდ 181,393 ლარს.

2012 და 2013 წლებში სს „სმარტ რითეილსა“ და შპს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ შორის გაფორმდა საოპერაციო იჯარის ხელშეკრულება, სადაც სს „სმარტ რითეილი“ წარმოდგენილია, როგორც - მოიჯარე. აღნიშნული ხელშეკრულებით, კომპანიამ იჯარით აიღო საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე რვა მაღაზიის ფართი, სადაც იგი ამჟამად ახორციელებს თავის საქმიანობას. ხელშეკრულება მოქმედებს 2010 წლის იანვრამდე შეთანხმების შესაბამისად ხელშეკრულება მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით. წლიური გადასახადი შეადგენს გამომუშავებული შემოსავლის 4%-ს - საშუალოდ 985,940 ლარს.

2016 წლის იანვარში სს „სმარტ რითეილსა“ და შპს „მკ დეველოპმენტს“ შორის გაფორმდა საოპერაციო იჯარის ხელშეკრულებები, სადაც სს „სმარტ რითეილი“ წარმოდგენილია, როგორც - მოიჯარე. აღნიშნული ხელშეკრულებით, კომპანიამ იჯარით აიღო საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე ოთხი მაღაზიის და ერთი სანყობის ფართი, სადაც იგი ამჟამად ახორციელებს თავის საქმიანობას. ხელშეკრულება მოქმედებს 2019 წლის იანვრამდე შეთანხმების შესაბამისად ხელშეკრულება მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით. წლიური გადასახადი შეადგენს გამომუშავებული შემოსავლის 4%-ს - საშუალოდ 153,369 ლარს.

2018 წლის ივლისში კომპანიას და საქწყალპროექტს შორის გაფორმდა საოპერაციო იჯარის ხელშეკრულება, სადაც კომპანია წარმოდგენილია როგორც მოიჯარე. ხელშეკრულება მოქმედებს 2019 წლის ივლისამდე. კომპანიამ მიიღო სივრცე თბილისში, სადაც ამჟამად განთავსებულია. წლიური გადასახადი საშუალოდ 75,126 ლარს შეადგენს.

22 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: დანაკარგის ალბათობა იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს.

- **ლიკვიდურობის რისკი:** რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.
- **საბაზრო რისკი:** რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:
 - საპროცენტო რისკი
 - სავალუტო რისკი

კომპანიის ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით.

კომპანიის შედარებით მარტივი ოპერაციების გამო, არ არის რისკების საერთო მართვის თაობაზე წინასწარ დადგენილი პოლიტიკა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

	31-დეკ-18	31-დეკ-17
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	1,087,593	682,750
გაცემული სესხები	3,704,147	3,247,191
სავაჭრო მოთხოვნები	2,048,757	3,567,025
სულ ფინანსური აქტივები	6,840,497	7,496,966
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	10,453,395	15,849,505
მიღებული სესხები	40,603,507	27,349,085
სულ ფინანსური ვალდებულებები	51,056,902	43,198,590

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი გვიჩვენებს სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს სამართლიანი ღირებულების წარმოდგენილი 1-დან 3-მდე იერარქიის დონის მიხედვით:

	სამართლიანი ღირებულება		
	დონე 1	დონე 2	დონე 3
ფინანსური აქტივები 2018			
წლის 31 დეკემბრის			
მდგომარეობით			
ფული და ფულის ექვივალენტები	1,087,593	-	-

გაცემული სესხები	-	-	3,704,147
სავაჭრო მოთხოვნები	-	-	2,048,757
სულ	1,087,593	-	5,752,904
ფინანსური აქტივები 2017			
წლის 31 დეკემბრის			
მდგომარეობით			
ფული და ფულის ექვივალენტები	682,750	-	-
გაცემული სესხები	-	-	3,247,191
სავაჭრო მოთხოვნები	-	-	23,566,749
სულ	682,750	-	6,813,940

საკრედიტო რისკი

კომპანია საკრედიტო რისკს აკონტროლებს კონსოლიდირებულ მომხმარებლებზე ლიმიტების დაწესებით, რომლის დროსაც გამოიყენება სხვადასხვა სააგენტოების ინფორმაცია, მომხმარებლის საცხოვრებელი ქვეყნის მიხედვით. კომპანიას შემუშავებული აქვს კრედიტუნარიან კლიენტებთან საქმის წარმოების პოლიტიკა.

არ შეინიშნება საკრედიტო რისკების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	31-დეკ-	31-დეკ-17
ფული და ფულის ექვივალენტები	1,087,593	682,750
გაცემული სესხები	3,704,147	3,247,191
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,048,757	3,566,749

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

კომპანია ლიკვიდურობის რისკს მართავს მოსალოდნელ ვადიანობაზე დაყრდნობით რეგულარული მონიტორინგის საშუალებით.

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წელზე ნაკლები	1 - 3 წელი	3 - 5 წელი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	1,087,593	-	-	1,087,593
გაცემული სესხები	-	3,704,147	-	3,704,147

სს “სმარტ რითეილ”
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

სავაჭრო მოთხოვნები	2,048,757	-	-	2,048,757
ფინანსური აქტივები	3,136,350	3,704,147	-	6,840,497
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	(10,453,395)	-	-	(10,453,395)
მიღებული სესხები	(22,635,485)	(17,968,022)	-	(40,603,507)
ფინანსური ვალდებულებები	(33,088,880)	(17,968,022)	-	(51,056,902)
ლიკვიდურობის პოზიცია	(29,952,530)	(14,263,875)	-	(44,216,405)

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წელზე ნაკლები	1 - 3 წელი	3 - 5 წელი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	682,750	-	-	682,750
გაცემული სესხები	-	3,247,191	-	3,247,191
სავაჭრო მოთხოვნები	3,200,722	366,027	-	3,566,749
ფინანსური აქტივები	3,883,472	3,613,218	-	7,496,690
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	15,427,114	422,391	-	15,849,505
მიღებული სესხები	11,240,382	16,108,703	-	27,349,085
ფინანსური ვალდებულებები	26,667,496	16,531,094	-	43,198,590
ლიკვიდურობის პოზიცია	(22,784,024)	(12,917,876)	-	(35,701,901)

მენეჯმენტმა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის თანახმად. რამოდენიმე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ჯგუფს გააჩნია ურაცოფითი კაპიტალი და ლიკვიდურობის ურაცოფითი პოზიცია რაც

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის პოტენციურ დარღვევაზე მიაწინებს. მენეჯმენტის აზრით, ლიკვიდურობი პოზიცია არ წარმოადგენს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დარღვევის რისკს და ჯგუფის მენეჯმენტს საჭიროების შემთხვევაში შეუძლია მიიღოს დამატებითი ფინანსური სახსრები დამფუძნებლებისგან და განაგრძოს ოპერირება.

საპროცენტო რისკი

კომპანიას საპროცენტო რისკის საფრთხე ემუქრება მხოლოდ იმ ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში, რომლებზეც მოქმედებს ფიქსირებული განაკვეთი. კომპანიას არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხი.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები (საბანკო ბალანსები, დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები და დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებები (გადასახდელები) იწვევენ სავალუტო რისკს. რომელიც გულისხმობს უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკს.

ფინანსური აქტივები ვალუტის მიხედვით

ფინანსური აქტივები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტებს მიხედვით:

	ფული და ფულის ექვივალენტები	გაცემული სესხები	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სულ
ლარი	985,893	3,704,147	2,597,664	7,287,704
ევრო	11,838	-	9,980	21,818
აშშ დოლარი	51,769	-	16,282	68,051
სულ	1,049,500	3,704,147	2,623,926	7,377,573

ფინანსური აქტივები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტებს მიხედვით:

	ფული და ფულის ექვივალენტები	გაცემული სესხები	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სულ
ლარი	589,193	3,247,191	2,406,669	6,243,053
ევრო	76,041	-	278,174	354,215
აშშ დოლარი	8,071	-	229,409	237,480
სულ	673,305	3,247,191	2,914,252	6,834,748

ფინანსური ვალდებულებები ვალუტის მიხედვით

ქვემოთ მოცემულ ცხრილში გაანალიზებულია ფინანსური ვალდებულებები ვალუტების მიხედვით:

	31-დეკ-18	31-დეკ-17
ლარი	36,208,968	25,421,424
ევრო	2,119,297	3,496,772
აშშ დოლარი	11,885,437	12,871,416
სულ	50,213,702	41,789,612

ლარის გაცვლითი კურსის სავარაუდო 10%-იანი გამყარება/გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ შემცირების/გაზრდის ეფექტმა 2018 წლისათვის შეადგინა 1,181,739 ლარი. (2017: 11,746,500).

ლარის გაცვლითი კურსის სავარაუდო 10%-იანი გამყარება/გაუფასურება რუბლის მიმართ შემცირების/გაზრდის ეფექტმა 2018 წლისათვის შეადგინა 176,508 ლარი. (2017: 385,098).

23 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

	31-დეკ-18	31-დეკ-17
ტრანზაქციები		
შემოსავალი	387,856	6,621,434
მარკეტინგული შემოსავალი	-	379,053
საიტარო შემოსავალი	273,492	356,137
საპროცენტო შემოსავალი	517,962	533,896
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	2,189,943	3,374,339
საპროცენტო ხარჯი	3,380,866	607,894
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი- იჯარა	2,719,405	1,985,211
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი- კომუნალური	1,147,943	643,509
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული მოგება	-	56,263

ზემოთ აღნიშნული ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებულ იქნა სხვა ტრანზაქციების მსგავსი პირობებით.

	31-დეკ-18	31-დეკ-17
ბალანსი		
სავაჭრო მოთხოვნები	209,591	825,004
გაცემული სესხები -ძირი	2,726,456	2,726,455
გაცემული სესხები -პროცენტი	1,038,646	520,735
მიღებული სესხები -ძირი	27,187,900	16,502,581
მიღებული სესხები პროცენტი	2,198,669	672,1019
სავაჭრო ვალდებულებები	670,720	2,395,982

ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება შემდეგია:

ხელფასები და ბონუსები	2018	2017
ხელფასები და ბონუსები	99,280	73,950

24 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების თარიღის შემდგომ კომპანიამ გახსნა საკრედიტო ხაზი „საქართველოს ბანკში“ მაქსიმალური ლიმიტით 9,000,000 ლარი და 3,200,000 აშშ დოლარი. .

მშობელმა კომპანიამ 2019 წლის განმავლობაში გახსნა მაღაზიები შემდეგ ლოკაციებზე: თერჯოლის რაიონი, სოფელი არგვეთა, ბათუმი და ოქროყანა.

პერიოდის განმავლობაში მშობელმა კომპანიამ შეიძინა ძირითადი საშუალებები დაკავშირებული მხარისგან შპს „სმარტ რუსთაველი“-სგან 700,000 ლარის ღირებულებით.

2019 წლის პერიოდში კომპანიამ დახურა გორში, წყნეთში, ბათუმში, და მარნეულში მდებარე მაღაზიები.

მშობელმა კომპანიამ 2019 წლის იანვარში სრულად დაფარა ვითიბი ბანკის სასესხო ვალდებულებები.

სს „სმარტ რითეილი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სს „სმარტ რითეილის“ და მისი შვილობილის შპს „სმარტ ფროდაქშენის“ (შემდგომში „ჯგუფი“) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში ჯგუფის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.


კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2019 წლის 28 ოქტომბერს.

ფინანსური დირექტორი

გივი გვეტაძე

მთავარი ბუღალტერი

მარეხი კეზევაძე



სს "სმარტ რითეილი"

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისთვის
ქართულ ლარში

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი	15	36,237,055	36,887,649
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	16	(29,735,849)	(28,529,527)
საერთო მოგება		6,501,206	8,358,122
მარკეტინგული შემოსავალი	19	232,900	1,268,176
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	17	(11,058,852)	(13,651,149)
ცვეთის ხარჯი	7	(1,480,808)	(1,964,731)
სხვა წმინდა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	18	(879,821)	864,144
ფინანსური შემოსავალი/ხარჯი	13,9	(2,987,471)	(1,793,889)
უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან მიღებული წმინდა მოგება/ზარალი	20	234,553	(182,951)
მოგება დაბეგვრამდე		(9,438,293)	(7,102,278)
გადავადებული მოგების			
მოგება/ზარალი განგრძობითი		(9,438,293)	(7,102,278)
მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან	3	501,180	7,287,516
წლის მოგება/ზარალი		(8,937,113)	185,238

ფინანსური დირექტორი

გივი გვეტაძე

მთავარი ბუღალტერი

მარეხი კეზევაძე

სს "სმარტ რითეილი"

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	2,902,132	5,588,892
არამატერიალური აქტივები	8	84,795	163,698
ინვესტიციები	11	2,000,100	-
გაცემული სესხები	9	3,704,147	3,247,191
სულ გრძელვადიანი აქტივები		8,691,174	8,999,781
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	5	4,180,129	5,101,992
გაცემული ავანსები		911,543	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	2,048,757	3,567,025
ფული და ფულის ექვივალენტები	4	1,087,593	682,750
სულ მოკლევადიანი აქტივები		8,228,022	9,351,767
სულ აქტივები		16,919,196	18,351,548
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
მფლობელთა კაპიტალი	10	13,793,978	13,793,978
გაუნაწილებელი მოგება		(47,931,684)	(38,694,725)
სულ კაპიტალი		(34,137,706)	(24,900,747)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	13	17,968,022	16,108,703
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		17,968,022	16,108,703
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	13	22,635,485	11,240,382
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	10,453,395	15,903,210
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		33,088,880	27,143,592
სულ ვალდებულებები		51,056,902	43,252,295
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		16,919,196	18,351,548

ფინანსური დირექტორი

გივი გვეტაძე

მთავარი ბუღალტერი

მარეხი კეზევაძე

სს "სმარტ რითეილი"

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

წლისთვის

ქართულ ლარში

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის


	შენიშვნა	მფლობელთა კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2017 წლის 1 იანვრის	10	13,793,978	(38,879,963)	(25,085,985)
წლის მოგება		-	185,238	185,238
2017 წლის 31 დეკემბრის	10	13,793,978	(38,694,725)	(24,900,747)
მდგომარეობით				
ფასს 9-ის გავლენა		-	(299,846)	(299,846)
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		13,793,978	(38,994,571)	(25,200,593)
წლის მოგება		-	(8,937,113)	(8,937,113)
2018 წლის 31 დეკემბრის		13,793,978	(47,931,684.00)	(34,137,706)
მდგომარეობით				

ფინანსური დირექტორი

გივი გვეტაძე

მთავარი ბუღალტერი

მარეხი კეზევაძე




სს "სმარტ რითეილი"

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისთვის
ქართულ ლარში

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

	შენიშვნა	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება/ზარალი:		(8,937,113)	185,238
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	7,8	1,811,497	1,964,731
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული მოგება/ზარალი	3,7	646,119	-
საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	6	1,189,426	-
გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი	9	(60,899)	-
უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან მიღებული წმინდა	20	(234,553)	182,951
არამატერიალური აქტივების ჩამოწერა		18,603	-
საპროცენტო ხარჯი	13	3,508,307	2,327,785
საპროცენტო შემოსავალი	9	(520,836)	(533,896)
საოპერაციო შედეგები კაპიტალში ცვლილებამდე			
ცვლილება მარაგებში	5	921,843	4,106,065
ცვლილება გაცემულ ავანსებში		(911,543)	2,844
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	6	(207,794)	(782,432)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	14	(5,079,143)	(19,528,707)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი		(9,148,304)	(12,075,421)
გადახდილი პროცენტი	13	(3,508,307)	(1,908,663)
მიღებული პროცენტი	9	520,836	13,300
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული (საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		(12,135,775)	(13,970,784)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	7	(363,292)	(1,555,189)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	7	1,652,000	481
ინვესტიციები	11	(2,000,100)	-
ცვლილება გასაყიდად ფლობილ აქტივებში		-	7,109,962
არამატერიალური აქტივების შეძენა	8	(896)	(18,603)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმ. ფულადი		(712,288)	5,536,651
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
ცვლილება მიღებულ სესხებში	13	12,927,115	7,824,954
ცვლილება გაცემულ სესხებში	9	(456,956)	-
არაფულადი ცვლილებები		293,970	-
საფ. საქმიანობით გენერირებული წმ. ფულადი სახსრები		12,764,029	7,825,014
ფული და ფულის ექვივალენტები			


სს "სმარტ რითეილი"

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისთვის
ქართულ ლარში

1 იანვრის მდგომარეობით			
წმინდა ზრდა წლის განმავლობაში	4	682,750	902,098
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის		(84,034)	(609,117)
31 დეკემბრის მდგომარეობით		488,877	389,771
	4	1,087,593	682,750

ფინანსური დირექტორი

გივი გვეტაძე



მთავარი ბუღალტერი

მარეხი კეზევაძე



თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება მშობელი კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ, ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

28 ოქტომბერი 2019

არესემ საქართველო

მმართველი პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

Rsm Georgia






R E T A I L

07 ნოემბერი 2019 წ.

წარმოგიდგენთ სს სმარტ რითეილის 2018 წლის წლიურ ანგარიშს

შინაარსი

საქმიანობის მიმოხილვა.....	გვ. 1
საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....	გვ. 1
კვლევების და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	გვ. 1
ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ	გვ. 1
საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების	
მართვის მექანიზმების შესახებ	გვ. 2
განვითარების გეგმები.....	გვ. 2

0. მოსაშვილის ქ. 11; 0162 თბილისი, საქართველო; ტელ.: +995 322 557 557

11, I. MOSASHVILI STR.; 01 62 TBILISI, GEORGIA; TEL.: + 995 322 557 557

WWW.SMART.GE

საქმიანობის მიმოხილვა

სააქციო საზოგადოება „სმარტ რითეილი“ (შემდგომში „სმარტი“ ან „კომპანია“) თავისი ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის მიხედვით წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას (რეგ. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 08.02.2006-ში).

სმარტის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 2 500 000 აშშ დოლარს. საზოგადოების კაპიტალი დაყოფილია 2 500 000 ცალ ჩვეულებრივ სახელობით აქციადა. თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1 (ერთი) აშშ დოლარს. საზოგადოების 100%-იანი აქციონერი არის გლობალ ივესტორ ლიმიტედი (მალტა) (რეგისტრაციის #C38646). საზოგადოების მმართველობითი ორგანოებია აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო, გენერალური დირექტორი.

სამეთვალყურეო საბჭო შედგება ხუთი წევრისგან:

- სამსონ ფხაკაძე, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე,
- ლევან ფხაკაძე, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
- ვასილ ხორავა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;
- ალექსი სირბილაშვილი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;
- ნუგზარ აბრამიშვილი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

სს „სმარტ რითეილი“-ს საქმიანობის საგანს წარმოადგენს:

- სურსათის, საკვების წარმოება, გადამუშავება, დისტრიბუცია, რეალიზაცია;
- საბითუმო და საცალო ვაჭრობა
- სხვა საქმიანობა რაც არ არის აკრძალული მოქმედი კანონმდებლობით

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სმარტი ფლობს შვილობილი საწარმოს შპს „სმარტ ფროდაქშენი“-ს 100%-იან წილს და სპს „სმარტ რუსთაველის“ 27,71%-ს. შპს სმარტ ფროდაქშენი“-ს ძირითადი საქმიანობაა მზა კვების პროდუქტების და ნახევარფაბრიკატების წარმოება და სმარტ რითეილზე მიწოდება სუპერმარკეტში მათი შემდგომი რეალიზაციის მიზნით. შპს „სმარტ რუსთაველი“ ამჟამად არ ფუნქციონირებს.

2018 წლის ბოლოსთვის პრენდის და მართვის ქვეშ ფუნქციონირებდა 11 სუპერმარკეტი. ყველა სუპერმარკეტი არის იჯარით აღებული როგორც დაკავშირებული მხარეებისგან, ასევე მესამე პირებისგან.

დაქირავებულ თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენდა:

მხოლოდ სს სმარტ რითეილი
2016 წელი - 1,233 თანამშრომელი;
2017 წელი - 622 თანამშრომელი;
2018 წელი - 560

კონსოლიდირებული

2016 წელი - 1,325 თანამშრომელი;
2017 წელი - 694 თანამშრომელი;
2018 წელი - 616

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

სმარტის საერთო მოგება (gross profit) 2018 წელს 2017 წელთან შედარებით შემცირდა 8,3 მლნ ლარიდან 6,5 მლნ ლარამდე. ამასთანავე, 2018 წლის წმინდა ზარალმა შეადგინა 8,9 მლნ. ლარი. 2019 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით ფუნქციონირებს სმარტის 14 (თოთხმეტი) სუპერმარკეტი.

კვლევების და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

სმარტი სისტემატურად მუშაობს პროცესების ოპტიმიზაციასა და გაუმჯობესებაზე, რომელიც შედეგად იძლევა ხარჯების შემცირების საშუალებას.

ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

სმარტ რითეილი არ ფლობს ფილიალებს.

საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება დებიტორულ დავალიანებაზე რაც სმარტს გააჩნია კონტრაგენტებისადმი. ფინანსურ ანგარიშგებაში დებიტორული დავალიანება მოცემულია მოთხოვნის გაუფასურების რეზერვის გათვალისწინებით. სმარტის მომხმარებლებს წარმოადგენენ საცალო და კორპორატიული მომხმარებლები, ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული რეზერვი შედგება იმ თანხებისგან, რომელიც სრულად იქნა დარეზერვებული 1 წელზე მეტი ვადის მქონე მოთხოვნებზე. შესაძლებელია, გარკვეული ნაწილი 1 წელზე მეტი ვადიანობის მოთხოვნიდან იყოს გაუფასურებული ინდივიდუალურად, თუმცა, ისტორიული გამოცდილება აჩვენებს, რომ თანხების ძირითადი ნაწილის მიღება მაინც ხდება 1 წლის გასვლის შემდეგ. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვისოლის მენეჯმენტი თვლის, რომ გარდა ანგარიშგებაში მოცემული გაუფასურების რეზერვისა, დამატებითი რეზერვის შექმნის აუცილებლობა არ არის.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი გამომდინარეობს კონკურენტული გარემოდან, რომელსაც ქმნიან სხვა ქსელური სუპერმარკეტები, არაბრუნდული მაღაზიები და ა.შ. სმარტის სტრატეგია ეფუძნება სუპერმარკეტების ფუნქციონირებას ვისოლის (დაკავშირებული მხარე) ავტოგასამართ სადგურებზე. შესაბამისად, სმარტს აქვს გარკვეული ნიშა, რომელიც მოიცავს იმ მომხმარებლებს, რომელთაც მისაღები და ასასურველია ავტოგასამართ სადგურზე არსებული სუპერმარკეტის სტუმრობა. ზოგადად, კონკურენცია მიმდინარეობს საფასო სეგმენტში, შესაბამისად, სმარტში შექმნილია სამუშაო გუნდი, გენერალური დირექტორის, გაყიდვების, საოპერაციო, ფინანსური და ქსელის მართვის დირექტორების შემადგენლობით, რომელიც რეგულარულად იკრიბება და განიხილავს კონკურენტების საფასო პოლიტიკას, პროდუქციის ასორტიმენტს, ფასდაკლებებს და ახდენს შესაბამის რეაგირებას.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი გამომდინარეობს იქიდან, რომ სმარტის სესხების ნაწილი არის აშშ დოლარში, ხოლო შემოსავლების მიღება ხდება ლარში. სავალუტო რისკის მართვა ხდება სესხის მომსახურებისთვის და მომწოდებლებთან ანგარიშსწორებისთვის საჭირო თანხების ნაწილზე ფორვარდული გარიგებების დადებით ადგილობრივ ბანკებთან. ასევე, გაცვლითი კურსის ცვლილება, პროდუქტის შესასყიდი ფასის გათვალისწინებით, აისახება საცალო სარგალიზაციო ფასებში იმპორტიულ პროდუქტებზე.

ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა

სმარტის საბრუნავი კაპიტალი 2018 და 2017 წწ 31 დეკემბრის მდგომარეობით არის უარყოფითი. კომპანიის მენეჯმენტი მუშაობს აღნიშნული საკითხის გასაუმჯობესებლად, რომელიც ნაწილობრივ მოხდა 2018 წლის მანძილზე. უარყოფითი საბრუნავი კაპიტალი ამ ეტაპზე არ აფერხებს კომპანიის მიმდინარე საოპერაციო საქმიანობას.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკების მინიმიზაციის მიზნით სმარტში ფუნქციონირებს მონიტორინგის დეპარტამენტი, რომელიც მუდმივ რეჟიმში ახდენს სმარტის სუპერმარკეტებში და საწყობებში საქონლის, ნაღდი ფულის და სხვა მატერიალური ფასეულობების კონტროლს. საშუალო ვიზიტების რაოდენობა არის ორი-სამი ვიზიტი ერთ ობიექტზე თვის მანძილზე.

ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნებისა და პოლიტიკის შესახებ

გარდა ზემოაღნიშნული რისკებისა მთავარი რისკი რომელიც გავლენას ახდენს სმარტის ოპერაციებზე არის სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი გამომდინარეობს იქიდან, რომ სმარტის საბანკო სესხების ნაწილი და იმპორტირებული შესყიდვის ნაწილი არის აშშ დოლარში და ევროში, ხოლო შემოსავლების მიღება ხდება ლარში. საბანკო სესხების ნაწილი არის დენომინირებული ლარში, ვინაიდან ლარის სესხის საპროცენტო განაკვეთები არის გაცილებით მაღალი, ვიდრე აშშ დოლარის სესხის, ხოლო სესხის ვადიანობა უმეტეს შემთხვევაში არის 12 თვით. სავალუტო რისკის მართვა ხდება სესხის მომსახურებისთვის და მომწოდებლებთან ანგარიშსწორებისთვის საჭირო თანხების ნაწილზე ფორვარდული გარიგებების (ბანკთან გაფორმებული კონტრაქტი მომავალში კონკრეტული ოდენობის ვალუტის შეძენაზე წინასწარ დაფიქსირებული გაცვლითი კურსით) დადებით ადგილობრივ ბანკებთან. ასევე, გაცვლითი კურსის ცვლილება, პროდუქტის შესასყიდი ფასის გათვალისწინებით, აისახება საცალო სარგალიზაციო ფასებში.

განვითარების გეგმები

სმარტმა 2019 წლის მაისში და ივლისში და სექტემბერში გახსნა 3 სუპერმარკეტი ვისოლის ავტოგასამართ სადგურზე. კომპანია გეგმავს 4-5 ახალი, მცირე ფორმატის სუპერმარკეტის გახსნას 2020 წელს.

ვასილ ხორავა
გენერალური დირექტორი
სს სმარტ რითეილი

0. მოსაშვილის ქ. 11; 0162 თბილისი, საქართველო; ტელ.: +995 322 557 557

11, I. MOSASHVILI STR.; 0162 TBILISI, GEORGIA; TEL.: +995 322 557 557

WWW.SMART.GE